პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 180 (9648) | შაბათი, 1 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ვაშენოთ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი. — პარტიული აქტივის კრებებზე (1-ლი გვერდი).

მისალმებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

სადღეისო თემაზე. — მისალმები გამოცდებამდე მოსწავლეებში (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — პარტიული ორგანიზაციები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. — [illegible] ლი საბჭოების მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).

ი. ნაზარენკო. — ხალხთა საყვარელი პოეტი (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვაშენოთ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად

საბჭოთა ხალხის ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება უმაგალითო მასშტაბის საბინაო მშენებლობა. მარტო ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულ იქნა 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი საბინაო ფართობი, ხოლო სოფელ ადგილებში — 3,8 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი. საქართველოში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახალ საბინაო მშენებლობაზე 13 სამინისტროსა და 31 უწყების ხაზით ათვისებულ იქნა 456 მილიონი მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში სოფლად საკოლმეურნეო კომლთა ერთ მესამედზე მეტმა აიშენა ახალი სახლი. მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაგებად სახელმწიფოსაგან სესხად მიიღეს 70 მილიონ მანეთზე მეტი.

განსაკუთრებით გაჩაღებულია ახალი საბინაო მშენებლობა თბილისში და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში — ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, ტყიბულში და ა. შ. საბინაო მშენებლობასთან ერთად ყურადღება ექცევა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

წელსაც ახალი საბინაო მშენებლობისათვის დიდი თანხებია გაღებული. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისათვის საცხოვრებელი სახლების ასაგებად წელს გათვალისწინებულია 13.100 ათასი მანეთის ათვისება, გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივი მშენებლებმა წელს უნდა ჩააბარონ მრავალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი და ათასობით მანეთი. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია 2 მილიონი მანეთი.

საბინაო მშენებლობის მხრივ წელს რესპუბლიკაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე წინა წლებში გვქონდა. მაგალითად, სამგორწყალმშენის სამმართველომ წელს საბინაო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა წარმატებით შეასრულა. ასევე წარმატებით გაანაღდეს საბინაო მშენებლობის გეგმები რკინიგზელმა მშენებლებმა, ხოლო საქართველოს სსრ კომუნალური და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს ხაზით თბილისში ახალი საცხოვრებელი სახლების აგების 6 თვის გეგმა 117 პროცენტით არის განაღდებული.

მაგრამ რა დიდიც უნდა იყოს ეს მაჩვენებლები, მათ არ შეუძლიათ დაფარონ ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც გვაქვს საბინაო მშენებლობის დარგში. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ხშირად ის სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებმაც მათთვის საცხოვრებელი სახლების აგება ოჯარით მიანდეს სამშენებლო ორგანიზაციებს, ვერ იჩენენ სათანადო პასუხისმგებლობასა და დაინტერესებას, არ ეხმარებიან მშენებლებს, არ უწყობენ ხელს იმას, რომ მშენებლობა სწრაფად განვითარდეს, იაფი დაჯდეს. სამშენებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის „ხეზონურობის“ განწყობილება, ე. ი. წლის დასაწყისში მოშვებულობა იმ იმედით, რომ გაზაფხულზე და ზაფხულში უფრო ნაყოფიერად იმუშავებენ და გეგმებს მაინც შეასრულებენ. ასეთ არასწორ, მავნე განწყობილებას მივყავართ იერიშობანამდე, მაშასადამე, მშენებლობის გაძვირებასა და გაჭიანურებამდე.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით წელს პირველ კვარტალში საბინაო მშენებლობის გეგმა მხოლოდ 34,1 პროცენტით გაანაღდეს. აპრილის შემდეგ „ძალთა მობილიზაციის“ შედეგად მდგომარეობა გააუმჯობესეს, მთელ რიგ საშენებლო ობიექტებზე გეგმა შეასრულეს, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ შესრულებას, როდესაც იერიშით გატაცების გამო ვერ შეძლეს ვერცერთი საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში გადაცემა, ე. ი. სამშენებლო გეგმის შესრულებით ვერ მიაღწიეს მუშათა საბინაო პირობების ისე გაუმჯობესებას, როგორც ეს იყო გათვალისწინებული.

საბინაო მშენებლობის დარგში ერთ-ერთი მთავარი ნაკლია მშენებლობის ხარისხისათვის არასაკმაო ზრუნვა. ბათუმში აგებული ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი მიმღებმა კომისიამ ზერელედ შეამოწმა, მიიღო, ხოლო ოთხი თვის შემდეგ ამ სახლის სახურავში წვიმა ჩამოვიდა და საჭირო გახდა სახურავის რემონტი. ტყიბულში ახლად აგებულ საერთო საცხოვრებელ სახლს № 57-ს ორსექციანი აივანი ჩამოენგრა. ეს სახლი აგებულია ტყიბულშახტმშენის საბინაო მშენებლობის სამმართველოს მიერ, რომელსაც ინჟინერი ვ. სანაძე ხელმძღვანელობს.

სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში განსაკუთრებული დაინტერესება უნდა გამოიჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ისინი სისტემატურად, ყოველდღიურად უნდა იყვნენ მშენებლობის მიმდინარეობის კურსში, დროულად უწევდნენ მშენებლებს დახმარებასა და კონტროლს, იბრძოდნენ მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დასანერგავად, ადგილობრივი რეზერვების სრული გამოყენებისათვის, ტექნიკური დოკუმენტაციით მშენებლების წინასწარ მოსამარაგებლად, დაფინანსების შეუფერხებლობისათვის, მშრომელთა გაუმჯობესებისათვის და, რაც მთავარია, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის, მუშაობის ნოვატორული მეთოდების მასობრივად დანერგვისათვის.

მშენებელთა პროფკავშირული ორგანიზაციები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სათავეში უნდა ჩაუდგნენ მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის დიდი სამრეწველო ცენტრების მშენებელთა მოწინავე კოლექტივების მდიდარი გამოცდილების გადმონერგვას ჩვენს პირობებთან შეფარდებით. ეს ხელს შეუწყობს მშენებლობის რენტაბელობისათვის ბრძოლას, სწრაფად, მაღალხარისხოვნად და იაფად მშენებლობას. საგულისხმოა ამ მხრივ მოსკოველ მშენებელთა გამოცდილება — სამშენებლო ბრიგადების გადაყვანა დეკადურ და ხადოვამისო გრაფიკით მუშაობაზე, რის შედეგადაც ამაღლდა მუშათა საშუალო გამომუშავება, შეწყდა მუშახელის დეხადობა, გაადვილდა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მუშაობის შედეგების აღრიცხვა, გაუმჯობესდა მშენებლობის ხარისხი.

საჭიროა მშენებელთა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოსკოველ მშენებელთა მაგალითისამებრ სისტემატურად განიხილონ სამშენებლო გეგმების შესრულების მიმდინარეობა, მოისმინონ მშენებლობის ხელმძღვანელთა საანგარიშო მოხსენებები და მიიღონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

მშენებელთა კოლექტივები მოვალენი არიან ყოველი დღე, ყოველი საათი ახლა მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოიყენონ, რათა უზრუნველყონ სამშენებელო გეგმების ვადამდე შესრულება, ასიგნობათა დროულად ათვისება, მუშაობის ტემპის შემდგომი გადაჭრით გაძლიერება და რიტმული მუშაობის მტკიცედ დაუფლება.

ვაშენოთ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი

მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

შესრულდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის გახსნის ორმოცდაათი წელი, ისტორიული ყრილობისა, რომელზეც საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის მებრძოლ რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა 30 ივლისს მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც გაიმართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. მიხაილოვმა.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. პ. ნ. პოსპელოვს.

ამხ. პოსპელოვი ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი დიდი სიყვარულითა და სიამაყით აღნიშნავს თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ორმოცდამეათე წლისთავს, — სახელოვან და ღირსშესანიშნავ თარიღს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. კომუნისტური პარტიის ბრძნული და მამაცური ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ისტორიაში უდიდესი რევოლუციური გადატრიალება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის ახალი ერა, კაპიტალიზმის ნგრევის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. პარტია ამჟამად თავის რიგებში ითვლის 7 მილიონამდე წევრსა და კანდიდატს. გენიალური ლენინის, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოწრთობილი ჩვენი კომუნისტური პარტია ახლა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების წამყვანი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა.

ამხ. პოსპელოვმა დაახასიათა რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა, დიდი ლენინის როლი ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნაში და ნახევარი საუკუნის სახელოვანი გზა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვლო.

კამათში პირველი გამოვიდა პარტიის საბჭოთა რაიკომის მდივანი ამხ. მარჩენკო.

— თვითეული კომუნისტი დიდი სიამაყის გრძნობას განიცდის თავისი პარტიისათვის, — ამბობს იგი. — არა არის რა იმ პარტიის წევრის წოდებაზე უფრო მაღალი, რომლის დამაარსებელი იყო დიდი ლენინი. კომუნისტის წმიდა ვალია შეასრულოს ვლადიმერ ილიას-ძის მითითებები, რომლებიც მან მოგვცა რსდმპ მეორე ყრილობაზე, — დაიცვას ჩვენი პარტიის სიმტკიცე, გამძლეობა, სიწმინდე, ეცადოს სულ უფრო ამაღლოს პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა.

ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, საბჭოთა რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა ყურადღება მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისადმი. ამასთან ამ საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიურ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს დიდი ყურადღება მიაქციეს კამათის სხვა მონაწილეებმაც. მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ფურცევამ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შემდეგ მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ რამდენადმე გააუმჯობესა იდეოლოგიური მუშაობა, მაგრამ მთელ რიგ რაიონულ და პირველადს ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება გაზრდილ მოთხოვნებს. მოსკოვის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი იდეოლოგიურ მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის რექტორმა ამხ. მიტრონოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ნიკოლაევმა ამ სასწავლებელთა მუშაობის მაგალითით ცხადყვეს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია თავისი კადრების მომზადების საქმეს. უმაღლესი პარტიული სკოლის ძირითად და დაუსწრებელ განყოფილებებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ერთწლიან და ლენინურ კურსებზე ამჟამად ათასობით პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკი სწავლობს.

რსდმპ მეორე ყრილობის მოწვევის ორმოცდაათი წლისთავისადმი მზადების დღეებში ფაბრიკების, ქარხნების და დაწესებულებათა კოლექტივების შრომითს აღმავლობაზე ილაპარაკეს პარტიის კრასნაიპრესნის რაიკომის მდივანმა ამხ. ბეზრუკოვმა, სალ შენადნობთა კომბინატის დირექტორმა ამხ. სოლოვიოვმა და სხვებმა.

კამათში გამოვიდა 10 კაცი.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში პარტიული აქტივის კრებამ პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია და დედაქალაქის ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ საქმიანობისადმი სამსახურის დიდ საქმეს.

აქტივის კრება დამთავრდა პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მღერით. (საკდესი).

ელექტროსადგური რუზაზე

26 ივლისს მდინარე რუზაზე ამუშავდა გორბოვოს საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური. მის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა შვიდი კოლმეურნეობა. ეს არის ყველაზე დიდი სადგური მოსკოვის ოლქში. მისი მართვა მთლიანად ავტომატიზებულია.

რკინაბეტონის კაშხალმა მდინარე გადაღობა სოფელ გორბოვოს მახლობლად. ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შედეგად დიდი ცვლილება მოხდება რაიონის ეკონომიკაში. ელექტროსადგური ენერგიას მიაწვდის შვიდ სასოფლო-სამეურნეო არტელს, განათებს კოლმეურნეთა ხუთასზე მეტ სახლს, განხორციელდება მეცხოველეობის 28 შენობის ელექტროფიკაცია. ელექტროდენით იმუშავებს ავტოსარწყულებლები, საწველი აპარატები, მექანიზებულ იქნება საკვების დამზადება და მიწოდება. მარტო მეცხოველეობის ფერმებში ელექტროდენის საშუალებით წელიწადში დაზოგილ იქნება 50 ათასამდე შრომადღე.

გათვალისწინებულია 16 კალოს ელექტროფიკაცია. სტალინის სახელობის, კიროვის სახელობის, ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობებში უკვე უახლოეს დღეებში ელექტროდენი ამუშავებს მარცვალსაწმენდ მანქანებს.

გარდა ამისა, გორბოვოს ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერგია გამოყენებულ იქნება რაიონული ცენტრის — ქალაქ რუზას მრეწველობისათვის და მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

მინდვრის მშრომელნი ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებისადმი მიძღვნილ კრებაზე ისე შეიკრიბნენ, როგორც დიდ დღესასწაულზე.

კრების შემდეგ რუზის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბოჩაროვმა გადაჭრა ლენტი ელექტროსადგურის შენობაში შესასვლელის წინ.

კაშხალთან ნაპირის ფერდობზე თავმოყრილ კოლმეურნეთა ტაშის გრიალში ჩართეს ჩამრაზი. აგრეგატები ამუშავდა და ბეტონით შეკრული მდინარე რუზას ენერგია წავიდა სადენებით. უკვე ერთი წუთის შემდეგ კიროვის სახელობის კოლმეურნეობიდან მოვიდა ცნობა, რომ შუქი აინთო კოლმეურნეთა ყველა სახლში.

გორბოვო (მოსკოვის ოლქი). (საკდესი)

მაღაროელებმა შვიდი თვის გეგმა შეასრულეს

ყარაგანდა, 30 ივლისი. (საკდესი). დღეს კომბინატმა „კარაგანდაუგოლმა“ შვიდი თვის გეგმა შეასრულა.

შარშანდელთან შედარებით სათბობის ამოღება 9 პროცენტით გაადიდა. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით, მისი ხარისხის გაუმჯობესებით მოწინავე შახტების კოლექტივებმა რამდენიმე მილიონი მანეთი დაზოგეს. ახლა მთელი სათბობის ნახევარზე მეტს ტრესტის საწარმოებში კომბაინებისა და ასაწმენდი მანქანების საშუალებით იღებენ.

კინო ჩრდილოეთში

ხაბაროვსკი. (საკდესი). 27 ივლისს ხაბაროვსკიდან ჩუკოტკაში გაემგზავრა ათი კინომექანიკოსი, რომლებმაც ცხრათვიანი კურსები დამთავრეს. მათ პოლარული სოფლების წითელი იარაღებისა და კლუბებისათვის თან წაიღეს ახალი ხმოვანი კინოაპარატურა, მსუბუქი ელექტროსადგურები.

მხარის ჩრდილოეთ რაიონებში კინოს ქსელი განუწყვეტლივ იზრდება. ჩუკოტკაში ოცსშემდგომ წლებში კინოდანადგართა რიცხვი რვაჯერ გადიდდა.

შორეული ჩრდილოეთის რაიონებში ახალ კინოთეატრებს აშენებენ. დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავისათვის საგენსლოკიოდ გადაეცემა კინოთეატრი უსტ-კამჩატსკში. დამთავრებულია ოხოტსკში, ამურის ბოგოროდსკში, კამჩატკის ინდუსტრიულში და სხვა დასახლებულ პუნქტებში კინოთეატრების მშენებლობის დაპროექტების სამუშაოები.

ამურის ნიკოლაევსკში და კამჩატკის პეტროპავლოვსკში შექმნილია კურსები, რომლებზეც ამზადებენ კინომექანიკოსებს ჩრდილოეთი რაიონებისათვის.

ავტომაჯმა კალომ განმინდა ორი ათასი ჭონა მარცვალი

პავლოვსკაია (კრასნოდარის მხარე), 30 ივლისი. (საკდესი). კოლმეურნეობაში „მშვიდობისა და შრომისათვის“ წელს შეიქმნა მინდვრის ავტომატი კალო. ამ რთული ნაგებობის საშუალებით, რომელიც შეიცავს მექანიზმების კომპლექსს, წარმოებდა მარცვლის ავტომატური გაწმენდა და დატვირთვა. მკის დღეებში კალომ გაწმინდა და ავტომანქანებში დატვირთა ორი ათასი ტონა მარცვალი — რკინიგზის ორი ეშელონი. მთელი სამუშაო რეა სამუშაო დღის განმავლობაში შეასრულა ორმა კაცმა.

წინათ ამისათვის, რომ დღეღამეში გაეწმინდათ და დაეტვირთათ 300 ტონა მარცვალი, საჭირო იყო 150 კაცი და 6-8 ათასი შრომადღის დახარჯვა. ახლა ავტომატი კალოს მომსახურებისათვის სულ რამდენიმე ათეული შრომადღე დაიხარჯა.

ახალ სახეობათა შალისა და აბრეშუმის ქსოვილები

რიგა. (საკდესი). ფაბრიკა „რიგას ტექსტილსის“ კოლექტივმა გამოუშვა პირველი პარტია შალის ახალი ქსოვილებისა მამაკაცის კოსტიუმებისათვის — მუქილურჯი და ყავისფერი „გლორია“, ბოსტონის ტიპის „ლამდოტა“. იგივისტოში საწარმოში დაიწყება კიდევ ერთი ახალი სახეობის შალის ქსოვილის — ქალის დრაპის დამზადება.

საფეიქრო კომბინატ „რიგას აუდუმსში“ უშვებენ ახალ სახეობათა აბრეშუმის ქსოვილებს — ფასონურ კრეპს, ხელოვნური აბრეშუმის ბოჭკოს შტაპელის ქსოვილს და სხვა. ეს ქსოვილები განკუთვნილია ქალის საზაფხულო კაბებისათვის. ამჟამად საწარმოში უშვებენ ასამდე სახეობის სამასზე მეტი მოხატულობის სხვადასხვა აბრეშუმის ქსოვილს.

გამოიცა თეზისები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი (1903-1953)“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

ბროშურის ტირაჟია ერთი მილიონი ცალი. (საკდესი).

მაიაკოვსკის, გალის, ორჯონიკიძის და ყიბულის რაიონებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები შეასრულეს: მაიაკოვსკის რაიონმა 103,4 პროცენტით, გალის რაიონმა — 101,2 პროცენტით, ორჯონიკიძის რაიონმა — 100,1 პროცენტით და ტყიბულის რაიონმა — 107 პროცენტით.

პარტიული აქტივის კრებებზე

ქუთაისი

ქუთაისის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. 30 ივლისს ა. წულუკიძის სახელობის პარტიული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში შედგა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

პარტიული აქტივის კრება გახსნა ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ლომიძემ. მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“ გააკეთა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ტყეშელაშვილმა. მან დამსწრეთ გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიაზე, მის ბრძოლაზე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ: პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ამხ. ვ. ბენიძე, ა. წულუკიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ამხ. ნ. ბალანჩივაძე, საავტომობილო ქარხნის მთავარი მეტალურგი ამხ. ნ. ბორისოვი, გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორის მოადგილე ამხ. ს. ფხაკაძე.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებზე. ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, — განაცხადეს მათ, — მოწოდებული არიან მობილიზაცია უყონ მშრომელთა შეგრძნებათა ძალებს და დარაზმონ ისინი პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში პარტიული აქტივის კრებამ პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია თავდადებით იმუშავებს საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და შემდგომი აყვავებისათვის.

სუხუმი

30 ივლისს შედგა სუხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი“ გააკეთა საქართველოს კ. პ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ადამიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 50 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განმტკიცდა, გამოიწრთო, გახდა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის წამყვანი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. მთელი მსოფლიოს მშრომელებს იგი მიაჩნიათ ჩვენი ეპოქის გონებად და ღირსებად და სინდისად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ნ. ხურციძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. შ. ინალიფამ, აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმა მუშაკმა ამხ. ა. კუპრავამ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სუხუმის ბიოლოგიური სადგურის დირექტორმა ამხ. ი. უტკინმა.

აქტივმა დიდი ყურადღება დაუთმო აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების უსწრაფესი გამოსწორებისათვის ბრძოლის ამოცანას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განუწყვეტლივ გავაფართოოთ პარტიული ორგანიზაციების კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, გაბედულად გავაჩაღოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მტკიცედ განვახორციელოთ პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპი და პარტიული ცხოვრების ნორმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პარტიული კრებები გაიმართა აგრეთვე სუხუმის, გაგრის, ახალი ათონის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებში და ქალაქ ტყვარჩელში.

სტალინირი

საბჭოების სახლის სხდომათა დარბაზში 30 ივლისს შედგა სტალინირის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. მოხსენებით გამოვიდა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პ. გილაშვილი.

მომხსენებელი და სიტყვით გამოსული ამხანაგები სიამაყით ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ, პარტიისა, რომელმაც თავისი არსებობის დასაწყისიდანვე უმაღლეს კანონად დაისახა მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის განუხრელი ზრუნვა; სიყვარულით ლაპარაკობდნენ დიდ ლენინზე, რომელმაც ტიტანური ბრძოლა გასწია ახალი ტიპის, მარქსისტული პარტიის შექმნისათვის.

კომუნისტმა ამხ. ს. ჯიოევმა განაცხადა: — ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ მშობლიური პარტიის 50 წლისთავს. საბჭოთა ადამიანები დღეს ერთხელ კიდევ სიამაყით გადაავლებენ თვალს ჩვენი პარტიის მიერ განვლილ დიად და სახელოვან გზას, სიმამაცის, გმირობის, ხალხისათვის თავდადების მრავალრიცხოვანი მაგალითებით აღსავსე გზას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ოსი ხალხიც თავიდანვე მტკიცედ გაჰყვა კომუნისტურ პარტიას. იგი უსაზღვროდ კმაყოფილია თავისი ამ არჩევანისა, რომელმაც ნამდვილი სიხარული და ბედნიერება მოგვიტანა.

კომკავშირის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გელაძემ თავის სიტყვაში გამოხატა საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის — კომკავშირის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება დიადი კომუნისტური პარტიისადმი.

ოსმა პოეტმა ივანე ცხოვრებოვმა წაიკითხა პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსი.

პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის დემონსტრაციად გადაიქცა პარტიული აქტივის კრებები, რომლებიც ლენინგორის, სტალინირის, ჯავის და ზნაურის რაიონებში გაიმართა.

ელექტროსადგური რუზაზე

26 ივლისს მდინარე რუზაზე ამუშავდა გორბოვოს საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური. მის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდა შვიდი კოლმეურნეობა. ეს არის ყველაზე დიდი სადგური მოსკოვის ოლქში. მისი მართვა მთლიანად ავტომატიზებულია.

რკინაბეტონის კაშხალმა მდინარე გადაღობა სოფელ გორბოვოს მახლობლად. ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შედეგად დიდი ცვლილება მოხდება რაიონის ეკონომიკაში. ელექტროსადგური ენერგიას მიაწვდის შვიდ სასოფლო-სამეურნეო არტელს, განათებს კოლმეურნეთა ხუთასზე მეტ სახლს, განხორციელდება მეცხოველეობის 28 შენობის ელექტროფიკაცია. ელექტროდენით იმუშავებს ავტოსარწყულებლები, საწველი აპარატები, მექანიზებულ იქნება საკვების დამზადება და მიწოდება. მარტო მეცხოველეობის ფერმებში ელექტროდენის საშუალებით წელიწადში დაზოგილ იქნება 50 ათასამდე შრომადღე.

გათვალისწინებულია 16 კალოს ელექტროფიკაცია. სტალინის სახელობის, კიროვის სახელობის, ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობებში უკვე უახლოეს დღეებში ელექტროდენი ამუშავებს მარცვალსაწმენდ მანქანებს.

გარდა ამისა, გორბოვოს ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერგია გამოყენებულ იქნება რაიონული ცენტრის — ქალაქ რუზას მრეწველობისათვის და მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

მინდვრის მშრომელნი ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებისადმი მიძღვნილ კრებაზე ისე შეიკრიბნენ, როგორც დიდ დღესასწაულზე.

კრების შემდეგ რუზის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბოჩაროვმა გადაჭრა ლენტი ელექტროსადგურის შენობაში შესასვლელის წინ.

კაშხალთან ნაპირის ფერდობზე თავმოყრილ კოლმეურნეთა ტაშის გრიალში ჩართეს ჩამრაზი. აგრეგატები ამუშავდა და ბეტონით შეკრული მდინარე რუზას ენერგია წავიდა სადენებით. უკვე ერთი წუთის შემდეგ კიროვის სახელობის კოლმეურნეობიდან მოვიდა ცნობა, რომ შუქი აინთო კოლმეურნეთა ყველა სახლში.

გორბოვო (მოსკოვის ოლქი). (საკდესი)

კინო ჩრდილოეთში

ხაბაროვსკი. (საკდესი). 27 ივლისს ხაბაროვსკიდან ჩუკოტკაში

საღლეისო თემაზე

მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად ჩვენი დიადი ქვეყნის ახალგაზრდობას ყველა გზა ხსნილი აქვს მეცნიერების მწვერვალების დასაუფლებლად. ყოველწლიურად იზრდება ცოდნის მიღების მსურველთა რაოდენობა, იზრდება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვიც.

ბედნიერმა საბჭოთა ახალგაზრდებმა იციან, რომ ადამიანი რაც უფრო მცოდნეა, მით უფრო ძლიერია. ამიტომ არის, რომ ახლინ ცხოვრებაში შესასვლელი საგზურებით — სიმწიფის ატესტატებით ხელში ისწრაფვიან უმაღლესი სასწავლებლისაკენ. მათთვის შექმნილია პირობები — აირჩიონ პროფესია მისწრაფებებისა და უნარის მიხედვით, გახდნენ კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კარი ფართოდ გაიღო აბიტურიენტებისათვის. წინასწარ მათთვის ეწყობოდა კონსულტაციები, რომლებსაც გამოცდილი პედაგოგები უძღვებოდნენ. მომავალი სტუდენტები თავის მხრივ აქტივობას იჩენდნენ, ამყარებდნენ ცოდნას და სწავლის წყურვილს.

აბიტურიენტებისათვის „წყობოდა აგრეთვე ზოგადი ხასიათის მიმოხილვითი ლექციები. მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე — „ფიზიკის ძირითადი ამოცანები“, „ქიმია სახალხო მეურნეობაში“, „საბჭოთა ისტორიული მეცნიერება“ და სხვ.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების მოსამზადებელ პერიოდს თავისი ნაკლოვანებებიც ჰქონდა. იყო კონსულტაციის ჩასატარებლად გამოყოფილი აუდიტორიების შეცვლის შემთხვევები. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკონსულტაციო მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდნენ პროფესორები და სხვ.

ამუამად უმაღლესი სკოლების წინაშე პასუხსაგები ამოცანა დგას — მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ მისაღები გამოცდები, მიიღონ ახალი ღირსეული შევსება. მომავალი კომისიების წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მიერ დაწერილ ყოველ ნიშანს გარკვეული წვლილი შეაქვს ახალგაზრდის მიერ დასახული მიზნის ხორცშესხმაში. შეფასება აბიტურიენტის ცოდნას უნდა გამოხატავდეს. ცოდნის შეფასებისას ლიბერალიზმი, მიკერძება, რასაც წარსულ წლებში კიდევ ვხვდებოდით, აღარ უნდა გამეორდეს. პირველი კურსების დაკომპლექტება სტუდენტთა მძლავრი კონტინგენტით უმაღლესი სასწავლებლების წარმატებითი მუშაობის საუკეთესო საფუძველია.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ამ პასუხსაგებ კამპანიაში.

ახალი სასწავლო წლისათვის

ლენინგრადი, 30 ივლისი. (საკუთარი). ა. მ. გორკის სახელობის სტამბამ „პეჩატნი დვორმა“ დაამთავრა ჩვენი ქვეყნის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვა. სტამბამ გამოუშვა თერთმეტი სახელწოდების წიგნი 19 მილიონ ცალად — თითქმის სამი მილიონით მეტი, ვიდრე შარშან.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

კომუნისტი მბურღავი გიორგი თოდაძე თიანეთის ოცი წელია ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროში მუშაობს. როცა მაღაროში მექანიზმები, ახალი ტექნიკა შემოვიდა, გ. თოდაძემ ხელი მოჰკიდა მის შესწავლას. იგი განსაკუთრებით დაინტერესა მადნის ჭანების საბურღავმა მანქანამ. ტექნიკური სწავლების კურსები გაიარა და საბურღავი მანქანის მართვას დაეუფლა. გ. თოდაძემ ბურღვის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა, წარმოების ნოვატორი გახდა. გეგმას ყოველთვის ორმაგად ასრულებს, ზრდის პროდუქციის ნაყოფიერებას, აძცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. გ. თოდაძის ყოველთვიური გამომუშავება 3.000 მანეთს აჭარბებს.

პარტიულმა ბიურომ შეისწავლა გ. თოდაძის მუშაობის მეთოდი, მისი გამოცდილება. ამ გამოცდილების გავრცელებას საკითხი განიხილეს როგორც პარტიულ, ისე მუშათა საერთო კრებებზე. მაღაროში შეიქმნა სტახანოვური სკოლა, სადაც გ. თოდაძე ახალგაზრდა მბურღავებს ასწავლიდა თავის ნოვატორულ მეთოდს. იგი ხშირად მართავს თავისი გამოცდილების შესახებ საუბრებს მაღაროელებთან. აქამდე გ. თოდაძის მეთოდით მუშაობენ მბურღავები გ. შეყლაშვილი, ნ. სამხარაძე, ი. შეყლაშვილი, გ. ლომსაძე, მ. სამხარაძე და სხვები, რომლებიც დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ნოვატორ გ. თოდაძის მეთოდი სხვა მაღაროებშიც ინერგება.

მაღაროში დაბალი იყო მარგანეცის დამტვირთი მექანიზმების წარმადობა. მოუწესრიგებელი იყო კომპრესორებით ჰაერის მაწოდება, აკლდათ კვალიფიციური მემანქანეები. პარტიულმა ბიურომ იმსჯელა მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებას შესახებ. იგივე საკითხი განიხილეს საუბნო პარტიულ კრებებზე. მაღლებულ ღონისძიებათა შედეგად ამუშავდა მძლავრი კომპრესორი, აგრეთვე დამატებით — მეორე კომპრესორი, გაუმჯობესდა მარგანეცის მადნის მონგრევა. ახლა მექანიზმებზე მომუშავე კომუნისტები გ. მეგრელიშვილი, გ. ცუცქირიძე, ვ. გოგოლაძე, კ. ტყემალაძე და სხვები კარგად დაეუფლნენ მექანიზმებს, თვალისჩინივით უვლიან მანქანებს და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

მაღაროს კოლექტივი ვერ ასრულებდა პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გეგმას. მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკაში დაზგა-დანადგარების სრული სიმძლავრეები ვერ აითვისეს, არ სრულდებოდა მადნიდან სუფთა მანგანუმის ამოღების დავალება. მაღაროელმა კომუნისტებმა არაერთგზის იმსჯელეს ამ საკითხებზე. კომუნისტი ინჟინერები ა. მოდებაძე, ი. კაკაბაძე, შ. რიჟამაძე მუდამ ცდილობდნენ რაიმე ახალი შეეტანათ მადნის გაუხვების ტექნოლოგიაში, წინ წაეწიათ ეს საქმე. მარჯლაც, მათი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით ბევრი დაზგა-დანადგარი მთლიანად გადააკეთეს, მექანიზმების კონსტრუქცია გააუმჯობესეს. მარგანეცის ხარისხის ამაღლების მიზნით ფაბრიკაში დაიდგა მაღალი სიხშირის სალექი მანქანები, ამუშავდა ელექტრომაგნიტური სეპარატორები.

მარგანეცის გამაუხვებელი ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა ინჟინერმა შ. რაქამაძემ განახორციელა წინადადება, რომელიც შეეხება ძძლავრი სამტვრეველას დაშლა-აწყობის მექანიზაციას. ამით ჩქარდება პროცესი, ადვილდება შრომა და მარტო ამ ფაბრიკას წლიურად 49.500 მანეთი ეზოგება. შ. რიჟამაძეს წინადადებითვე ელექტრორის ძველ ნაწილებს მეორედ იყენებენ, რითაც დიდძალი ლითონი იზოგება.

კარგი რაციონალიზატორია აგრეთვე მაღაროს მექანიკოსი, კომუნისტი ა. ცარციძე. იგი კარგად იცნობს მაღაროს ყველა რთულ მექანიზმს, იბრძვის მათი შეუფერხებელი და სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებების შედეგად მარგანეცის გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება ჯერ კიდევ 13 ივნისისათვის შეასრულა, პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებისა — 10 ივნისისათვის, წელს მილიონ მანეთზე მეტი დაზოგა, ხოლო დანადგართა საპროექტო სიმძლავრეებს 25 პროცენტით გადაჭარბა.

მაღაროელი კომუნისტები ბევრს მუშაობენ წარმოების რაციონალიზაციის გაუმჯობესებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევენ ტექნიკურ სწავლებასა და ტექნიკურ პროპაგანდას. მრავალმა კომუნისტმა წარმატებით დაამთავრა ტექნიკური სწავლების კურსები და საფუძვლიანად დაეუფლა სამთო ხელოვნების ძირითად საკითხებს. ბევრი მათგანი ახლა წარმოების უმცროსი მეთაურია და უნარიანად უძღვება მინდობილ სამუშაოს. მაღაროელებთან ხშირად იმართება მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ინჟინერების ლექციები და საუბრები ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებზე, ახალი მექანიზმების დანერგვა-გამოყენების მნიშვნელობაზე.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლით, შინასაწარმოო რეზერვების გონივრული გამოყენებით აიხსნება ის, რომ მაღაროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს საწარმოო გეგმებს, ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას და მოპოვებული აქვს სსრ კავშირის საუკეთესო მაღაროს საპატიო სახელი.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

თბილისის მშენებლობებისათვის მოსული მერქნის გადმოტვირთვა თბილისის საქონლის სადგურის სამხრეთ პარკში. წინა პლანზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ორთქლის ამწეს მემანქანე ი. ქიტუაშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი, გზის კომერციული სამსახურის ტექნიკოსი მ. კანდელაკი.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

რკინიგზელის დღის შესახვედრად

სოციალისტური შრომის გმირების შეჯიბრება

ყურადღებას იქცევს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეორთქლმავლეთა საუკეთესო წარმომადგენლების, სოციალისტური შრომის გმირების შალვა კოხრეიძისა და ფრიდუნ აგაევის სოციალისტური შეჯიბრება.

შ. კოხრეიძე ხელმძღვანელობს თბილისის საორთქლმავლო დეპოს ორთქლმავალთა კოლონას, როგორც მემანქანე ინსტრუქტორი. ფ. აგაევი კი ხელმძღვანელობს ბაკოს საორთქლმავლო დეპოს ორთქლმავალთა კოლონას. მათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით მთელი რიგი ვალდებულებანი იკისრეს.

28 ივლისს, შ. კოხრეიძის კოლონის ბრიგადებმა შეაჯამეს რკინიგზელის დღისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა. აღმოჩნდა, რომ წლის პირველ ნახევარში კოხრეიძის ორთქლმავალთა კოლონაში შემავალმა საორთქლმავლო გუნდებმა გასწიეს 283,7 ტონა საწვავისა და ორთქლმავალთა სარემონტოდ გათვალისწინებული საგრძნობლად დიდი თანხის ეკონომია. წარმატებით არის შესრულებული ორთქლმავალთა გარბენათაშორისი რემონტის გახანგრძლივების ვალდებულება. ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 70.000 კილომეტრისა კოლონაში შემავალი ორთქლმავლების რემონტთაშორისმა გარბენამ უკვე გადააჭარბა საშუალოდ 90.000 კილომეტრს, ხოლო ზოგ ორთქლმავალს გავლილი აქვს 150-180 ათასი კილომეტრი.

თავისი საორთქლმავლო კოლონის მიღწევებისა და მოპოვებული მაჩვენებლების შესახებ სოციალისტურ შრომის გმირმა შ. კოხრეიძემ წერილი გაუგზავნა აზერბაიჯანელ თანამოძმეს ფ. აგაევს.

სასახელო მაჩვენებლებით

რკინიგზის ბაშის სადგურის კოლექტივმა გასული თვის დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ამავე დროს ვალდებულება აიღო აგვისის დავალება ორმაგად გაანადგოს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეისრეები ვ. ბოლქვაძე და ლევან კაჭარავა. თავდადებით შრომობენ ბაშის სადგურის მეზუთე საოსტატოს ლიანდაგის შემკეთებლები. მათ ივნისის საწარმოო გეგმა 127 პროცენტით შეასრულეს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია

30 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შემდეგი.

შემოწმებული ცნობებით ა. წ. 29 ივლისს დაახლოებით 7 საათზე ვლადივოსტოკის დროით „ბ-50“ ტიპის ოთხმოტორიანმა ბომბდამშენმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების გამოსაცნობი ნიშნები ჰქონდა, დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი ჯერ გამოვის კონცხის რაიონში და შემდეგ განაგრძობდა ფრენას სსრ კავშირის ტერიტორიაზე ასკოლდის კუნძულთან ვლადივოსტოკის ახლოს. როცა ორი საბჭოთა ავიაგამანადგურებელი მიუახლოვდა, რათა ამერიკის თვითმფრინავისათვის ეჩვენებინათ, რომ იგი სსრ კავშირის საზღვრების ფარგლებშია და წინადადება მიეცათ დაეტოვებინათ — [illegible] — საჰაერო სივრცე, ამერიკის თვითმფრინავმა სროლა აუტეხა მათ და სერიოზულად დააზიანა ერთ-ერთი აღნიშნული საბჭოთა თვითმფრინავი, რომელსაც გახვრეტილი აქვს ფუზელაჟი და მარცხენა ფრთა, აგრეთვე დარღვეული აქვს მფრინავის კაბინის ჰერმეტულობა. საბჭოთა თვითმფრინავები იძულებული იყვნენ აეტეხათ საპასუხო სროლა, რის შემდეგ ამერიკის თვითმფრინავი წავიდა ზღვის მიმართულებით.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს ამერიკას შეერთებული შტატების მთავრობას ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საზღვრის ამ უხეში დარღვევის წინააღმდეგ, მოითხოვს მკაცრ პასუხისგებაში იქნან მიცემული პირები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ამ დარღვევაში, და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს ღონისძიებებს, რათა ამიერიდან არ დაუშვას ამერიკის თვითმფრინავების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევა“.

საბჭოთა მთავრობის პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

31 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ჩ. ბოლენი და გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შემდეგი.

კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების შემოწმებული ცნობების თანახმად ამა წლის 27 ივლისს, მოსკოვის დროით 6 საათსა და 28 წუთზე ამერიკის 4 გამანადგურებელმა, რომლებიც შეიჭრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებში, ქალაქ ხუადიანის რაიონში, ჩინეთ-კორეის საზღვრიდან 110 კილომეტრზე, იერიში მიიტანეს და ჩამოაგდეს საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავი „ილ-12“, რომელიც რეგულარულად დაფრინავდა პორტ-არტურიდან სსრ კავშირში დაწესებული ტრასით. თვითმფრინავთან ერთად დაიღუპნენ მასში მყოფი 15 მგზავრი და ეკიპაჟის 6 კაცი.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავზე ამ პირატული თავდასხმის წინააღმდეგ და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს ზომებს; რათა მკაცრად დაისაჯონ ის პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან ამ თავდასხმაში, და მომავალში არ იქნას დაშვებული მსგავსი დანაშაულებრივი მოქმედება ამერიკის სამხედრო სარდლობის მხრივ.

საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს მოსთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას კომპენსაციის გადახდა აღნიშნული 21 საბჭოთა მოქალაქისა და თვითმფრინავის დაღუპვასთან დაკავშირებით“.

ბ-ნმა ჩ. ბოლენმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ნოტას იგი გააცნობს თავის მთავრობას.

გაზეთების ფურცლებზე

რაიონული გაზეთების მეგობრული ურთიერთობა

ზესტაფონის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქციამ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა რიაზანის ოლქის კასიმოვის რაიონული გაზეთის „ზვეზდის“ რედაქციასთან. გაზეთების რედაქციები ერთმანეთს წერილებით უზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას.

ამ დღეებში გაზეთმა „ლენინელმა“ თავის ფურცლებზე დაბეჭდა ქ. კასიმოვიდან მიღებული მორიგი წერილი, რომელშიც მოთხრობილია, თუ გაზეთი „ზვეზდა“ უხვი საკოლმეურნეო მოსავლის მისაღწევად როგორ ჩაუდგა სათავეში რაიონის კოლმეურნეობებში შრომის მოწესრიგებას.

ზესტაფონის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ და რიაზანის ოლქის კასიმოვის რაიონული გაზეთის „ზვეზდის“ რედაქციების მიერ მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება უდავოდ შეუწყობს ხელს გაზეთებს საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საგჭოთა მშენებლობა

რაიონული საბჭოების მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ადგილობრივ საბჭოებს. ისინი თავიანთ მოღვაწეობაში მტკიცედ უნდა ემყარებოდნენ მშრომელთა ფართო მასების ინიციატივასა და შემოქმედებას, ყოველდღიურად განამტკიცებდნენ კავშირს მასებთან, ამაღლებდნენ მათს აქტივობას.

ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო თავის მუშაობაში ეყრდნობა ამომრჩევლებს და ფართო აქტივს, მათს ინიციატივას. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებენ რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები.

უკანასკნელი არჩევნების შემდეგ აქტივას, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მონაწილეობით რაიონულმა საბჭომ მრავალი საჭირბოროტო საკითხი მოაგვარა. გასულ სასწავლო წელს რაიონის ზოგიერთ სკოლაში სერიოზული ნაკლოვანებები იყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებაში, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური პირობების დაბალი დონით. ეს საკითხი რაიონული საბჭოს სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისიის მსჯელობის საგანი გახდა. კომისიის მოთხოვნით მიმდინარე წლის 27 ივნისს რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი.

სესიაზე აღინიშნა, რომ გასული სასწავლო წელი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს ხორშის, ნოქალაქევის, ლეძაძამის საშუალო, თეკლათის, შრომისკარის რვაწლიანმა და ზემო თეკლათის დაწყებათმა სკოლებმა. რაიონის ზოგიერთ სკოლას ნაყოფიერი მუშაობისათვის არ ჰქონდა სასწავლო-მატერიალური ბაზა. კაბინეტები შევსებული არ იყო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, რის გამო ტექნიკურ მეცნიერებათა სწავლებას ზეპირი ხასიათი ჰქონდა. რაიონის მთელ რიგ სკოლებში სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული რუსული ენის, უცხო ენებისა და მათემატიკის სწავლება. სესიამ დასახა ახალი სასწავლო წლისათვის რაიონის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების კონკრეტული ღონისძიება. ამჟამად რაიონის მეტ წილ სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

ამომრჩევლებმა რაიონულ საბჭოს მისცეს განაწესი — გაეზარდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, გაეფიდებინა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა, აღმაღლებინა მშრომელთა სურსათით მომარაგების საქმე. ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა, რაც წელს მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეობათა მოსავლისა და შემოსავალს, გააუმჯობესებს მშრომელთა სურსათით მომარაგებას. კოლმეურნეობათა განმტკიცებაში თავისი წვლილი შეაქვს რაიონული საბჭოს სასოფლო-სამეურნეო მუდმივ კომისიას. კომისიას მოთხოვნით რაიონული საბჭოს აღმასკომი სისტემატურად განიხილავს სოფლის მეურნეობის ცალკეულ საკითხებს, ეხმარება ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოებს.

ცხაკაიას რაიონი ჩამორჩება ისეთი წამყვანი კულტურის მოსავლის აღებაში როგორიც არის ჩაი. ეს პირველ რიგში იმის შედეგია, რომ რაიაღმასკომი, მისი სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. სერიოზული ყურადღება არ ექცევა აგროტექნიკური ცოდნის ფართო პროპაგანდას, ჩვენი რაიონის ისეთ მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას, როგორიც არიან უხვი მოსავლის ცნობილი ოსტატი მეჩაიეები ტატიანა ტყებუჩავა, ელენე ცხვიტავა, მანადორა ძაქავარიანი და სხვები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის კომისიები. იშვიათად იკრიბებიან ამ კომისიების წევრები. კომისიები დაკავშირებული არ არიან ფართო აქტივთან, სუსტად მონაწილეობენ რაიონული საბჭოს აღმასკომის ყოველდღიურ საქმიანობაში.

რაიონის მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ, ყურადღება არ ექცევა სავაჭრო ქსელის სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობას, იშვიათი როდია ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები, არღვევა საქონლის სავალდებულო ასორტიმენტი და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის კომისია ვალდებულია აქტიური დახმარება აღმოუჩინოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს საბჭურნალო-სანიტარული ქსელის გაშლის საქმეში, შეამოწმოს სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობა, მათი კეთილმოწყობის საქმე, შეიტანოს სათანადო წინადადებანი ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხელი შეუწყოს სოფლად თუ ქალაქად აბანოებისა და სამრეცხაოების მშენებლობას, საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბავშვთა ბაღების მოწყობას, მშრომელთა ფარფო მასებში სანიტარული კულტურის დანერგვას. რაიონში ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანია, ხოლო რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის კომისია ამ ნაკლოვანებებს არ ეხმაურება.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგზაო მშენებლობა, სოფლის ცენტრებისა და ქალაქ ცხაკაიას კეთილმოწყობა. კომისიამ დასახა ამ მხრივ შესასრულებელ სამუშაოთა გეგმა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ კიდევ არ არის გადადგმული. საჭიროა კომისიის შემადგენლობა, აქტივთან ერთად, ფართოდ ჩაებას სასოფლო, სარაიონო და რესპუბლიკური გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობაში, აქტიური დახმარება აღმოუჩინოს ქალაქისა და [illegible] საბჭოებს ნაგებობების, მოედნებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში.

ამომრჩევლებთან მუდმივი კავშირი საბჭოების მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია. დეპუტატი დაკავშირებული უნდა იყოს მის ამომრჩევლებთან, ერკვეოდეს მათს საქმიანობასა და ცხოვრების დეტალებში, ყურს უგდებდეს ამომრჩეველთა მოთხოვნებსა და სურვილებს, ეხმაურებოდეს მათს წინადადებებს.

რაიონული საბჭოს ბევრი დეპუტატი ღირსეულად ასრულებს ამომრჩეველთა ნდობას, მათს განაწესს. უკანასკნელი არჩევნების დროს სოფელ ზანის ამომრჩევლებმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ სოფლის ცენტრი კეთილმოწყობელი იყო, მოსახლეობა არ მარაგდებოდა საჭირო რაოდენობის სამრეწველო საქონლით, არ მუშაობდა საკოლმეურნეო აბანო... რაიონული საბჭოს დეპუტატმა ამხ. ვ. ბაკურაძემ შეისწავლა ყველა ეს წინადადება, მოეთათბირა სოფლის აქტივს, საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ადგილზე შეუძლებელი იყო, დააყენა რაიონული ორგანიზაციების წინაშე. 3-4 თვის განმავლობაში სოფლის ცენტრში აშენდა ცენტრალური მაღაზიის საუკეთესო შენობა, პურსაცხობი, სასადილო, რემონტი გაუკეთდა ფოსტის განყოფილების შენობას, აბანოს; ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით აიგო ჩაის მიმღები პუნქტის ახალი შენობა, გამწვანდა სკოლის ეზო და სოფლის ცენტრი.

სოფელ ხორშის ციზეთის უბნის მოსახლეობას წლების განმავლობაში აწუხებდა უგზოობა. ბევრჯერ გამოთქმულა ამის გამო საყვედურები, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. რაიონული საბჭოს დეპუტატმა ე. ბერაიამ ეს საკითხი დააყენა სოფლის აქტივის კრებაზე. კრება ეაცნო გზის მშენებლობის გეგმას და ერთსულოვნად დაუჭირა მას მხარი. მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო მუშაობა. ამჟამად გზა, რომლის გაყვანა გათვალისწინებული იყო 6 კილომეტრზე, დამთავრებულია. ამ დღეებში დამთავრდება ხიდის. მშენებლებიც, და გზა მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით უკანასკნელ ხანებში მოხდა რაიონული საბჭოს აღმასკომის ზოგიერთი განყოფილების რეორგანიზაცია. სოფლის მეურნეობის განყოფილების, საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილებისა და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რაიონული რწმუნებულის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველო; კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილება და კინოფიკაციის განყოფილება გაერთიანდა ერთ განყოფილებად — კულტურის განყოფილებად; ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას შეუერთდა რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი. ამით უფრო ოპერატიული გახდა რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებისადმი ხელმძღვანელობა.

რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სასოფლო საბჭოების მუშაობის წარმატებანი ბევრად არის დამოკიდებული რაიონული საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების სწორად ჩატარებაზე. სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების გულდასმით მომზადება, საკითხების პრინციპული, საქმიანი განხილვა და სწორი გადაწყვეტა ზრდის ახალგაზრდა საბჭოთა მუშაკებს, ეხმარება განსაკუთრებით იმათ, ვინც უკანასკნელი არჩევნების დროს მოვიდა საბჭოთა აპარატში.

აღმასკომმა, როგორც წესი, უნდა განიხილოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სერიოზული საკითხები, ამასთან ეს განხილვა უნდა იყოს ყოველმხრივი და საფუძვლიანი. სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკაში ცოტა როდია მაგალითები, როდესაც სხდომები იტვირთება ბევრი წვრილმანი ამბავით.

პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ახალი, გაზრდილი ამოცანები რაიონული საბჭოს აღმასკომს ავალებს მას და ერთსულოვნად დაუჭირა მას მხარი. მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო მუშაობა. ამჟამად გზა, რომლის გაყვანა გათვალისწინებული იყო 6 კილომეტრზე, დამთავრებულია. ამ დღეებში დამთავრდება ხიდის. მშენებლებიც, და გზა მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით უკანასკნელ ხანებში მოხდა რაიონული საბჭოს აღმასკომის ზოგიერთი განყოფილების რეორგანიზაცია. სოფლის მეურნეობის განყოფილების, საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილებისა და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რაიონული რწმუნებულის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველო; კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილება და კინოფიკაციის განყოფილება გაერთიანდა ერთ განყოფილებად — კულტურის განყოფილებად; ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას შეუერთდა რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი. ამით უფრო ოპერატიული გახდა რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგებისადმი ხელმძღვანელობა.

რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და სასოფლო საბჭოების მუშაობის წარმატებანი ბევრად არის დამოკიდებული რაიონული საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების სწორად ჩატარებაზე. სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების გულდასმით მომზადება, საკითხების პრინციპული, საქმიანი განხილვა და სწორი გადაწყვეტა ზრდის ახალგაზრდა საბჭოთა მუშაკებს, ეხმარება განსაკუთრებით იმათ, ვინც უკანასკნელი არჩევნების დროს მოვიდა საბჭოთა აპარატში.

აღმასკომმა, როგორც წესი, უნდა განიხილოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სერიოზული საკითხები, ამასთან ეს განხილვა უნდა იყოს ყოველმხრივი და საფუძვლიანი. სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკაში ცოტა როდია მაგალითები, როდესაც სხდომები იტვირთება ბევრი წვრილმანი ამბავით.

პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ახალი, გაზრდილი ამოცანები რაიონული საბჭოს აღმასკომს ავალებს კიდევ უფრო გააძლიეროს დახმარება და ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოებისადმი. აღმასკომის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი ფოცხოს და ბეთლემის სასოფლო საბჭოების მუშაობაში. დეპუტატები სუსტად მონაწილეობდნენ სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში. არ ხდებოდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ მუდმივი კომისიები, გაშლილი არ იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამ საბჭოების მუშაობის საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი. ამჟამად ეს საბჭოები გაცილებით უკეთესად მუშაობენ. რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობა თეკლათის, უშაფათის, ნოსირისა და ხორშის სასოფლო საბჭოებში.

მაგრამ ყველგან ასე როდია. იმის გამო, რომ რაიონული საბჭო არასაკმარისად ეხმ

მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

რუსმა ისტორიული მეორე ყრილობის ორმოცდამეათე წლისთავზე ღუგულითადეს ძმურ მოლოცვას ვუძღვნით ლენინ — სტალინის დიად პარტიას და უდიდეს ალტაცებას გამოვთქვამთ მისი გიგანტური რევოლუციურ-შემოქმედებითი მუშაობის გამო, რომელიც გზას გვიკაფავს კაცობრიობის ბედნიერებისაკენ.

პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას და მთელ პოლონელ ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიაჩნიათ საერთაშორისო მუშათა კლასის „დამკვრელი ბრიგადის“ უშესანაშნავეს ნიმუშად, შარეს — ეხგელს — ლენინ — სტალინის უკვდავი მოძღვრების განხორციელების დიდი საქმის ხელმძღვანელობაში ლენინური სიბრძნის ნიმუშად.

ჩვენ წმიდად ვიცავთ და თანმიმდევრულად ვავითარებთ პოლონეთის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ტრადიციებს, მოძრაობისა, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე იარაღის ურღვევი ძმობით არის დაკავშირებული მსოფლიო პროლეტარიატის მოწინავე რაზმთან — საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან, რომელიც ახლა კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ დიდი ლენინის სსოვნას, რომელმაც გამოვედა და ისტორიული გამარჯვებებისაკენ წაიყვანა ბოლშევიკების რკინისებური რიგები, რომელიც ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა პოლონეთის მუშათა მოძრაობას, უსწორებდა მას შეცდომებს, აგრეთვე უჩვენებდა პოლონელ მუშებს რევოლუციის გამარჯვების ერთადერთ სწორ გზას.

გმირი საბჭოთა არმიის მეოხებით განთავისუფლებული პოლონელი ხალხი ახლა, ეყრდნობა რა საბჭოთა ხალხების მაგალითსა და დახმარებას, აშენებს სოციალიზმის საფუძველს და სოციალისტურ ხალხად იქცევა. სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხების მსგავსად პოლონელი ხალხი უდიდესი ნდობით ეპყრობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ლენინურ მითითებებს, კომუნისტური პარტიისა, რომელიც განასახიერებს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლიერების სიდიადეს, უდიდესი სიამაყე და იმედია მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანისათვის, რომელნიც დარაზმული არიან საბჭოთა კავშირის გარშემო მშვიდობის, პროგრესის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ხელმძღვანელობას!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს პოლონეთის ხალხისა და დიდი საბჭოთა კავშირის ხალხის ურღვევი მეგობრობა და ძმობა!

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის გამო

პრაღა, 30 ივლისი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მისი 50 წლისთავის გამო გაუგზავნა შემდეგი შინაარსის მისალოცი დეპეშა:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს,

მოსკოვი.

ძვირფასო ამხანაგებო,

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გიძღვნით ძმურ სალამს და გილოცავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ახალი ტიპის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის 50-ე წლისთავს.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა და აღზრდილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშებმა და გლეხებმა განახორციელეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლითაც კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა — სოციალიზმის ეპოქა.

საბჭოთა ხალხმა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მოსპო თავის ქვეყანაში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ააშენა სოციალისტური საზოგადოება და შექმნა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ძმური თანამშრომლობის ნიმუში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია დიდ სამამულო ომში, ფაშისტური დამონებისაგან იხსნა კაცობრიობა და გზა გაუხსნა ხალხების ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

მთელი ჩვენი პარტია და ჩეხოსლოვაკიის მთელი მშრომელი ხალხი სწავლობენ და აღტაცებული არიან სახელოვანი გმირული გზით, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვლო ამ 50 წელიწადში, და კვლავ შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტად და ღრმად ისწავლონ თქვენი ბრძოლის გამოცდილება. გამოიყენა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარი გამოცდილება, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად მიაღწია სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებას და საბჭოთა კავშირის დახმარებით უზრუნველყოფს სოციალიზმის მშენებლობას ჩეხოსლოვაკიაში.

ხელმძღვანელობს რა ლენინისა და სტალინის უკვდავი მოძღვრებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია კვლავაც წაიყვანს ჩვენს მშრომელ ხალხს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი კომუნისტების გზით ბედნიერი სოციალისტური მომავლისაკენ.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“.

ხალხთა საყვარელი პოეტი

ლესია უკრაინკას გარდაცვალების 40 წლისთავის გამო

1913 წლის 1 აგვისტოს საქართველოში, სოფელ სურამში გარდაიცვალა პოეტი ლესია უკრაინკა. ოქტომბრამდელი „პრავდა“ ნეკროლოგში პოეტის შესახებ წერდა, რომ იგი „ახლოს იდგა საერთოდ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, კერძოდ, მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობასთან“.

უკრაინელი ხალხის ეს შესანიშნავი შვილი დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს ინტელიგენტურ ოჯახში. ნიჭიერმა ლარისა პეტრეს ასულმა კოსაჩმა ადრე დაიწყო წერა: მისი პირველი ლექსი 1884 წელს დაბეჭდა.

ტუბერკულოზმა შესაძლებლობა არ მისცა მას სკოლაში ესწავლა. მტკიცე ნებისყოფის ქალიშვილმა შინ მიიღო საუცხოო განათლება, კერძოდ, შეისწავლა ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული ენები, ხოლო უფრო გვიან, საზღვარგარეთ ხშირი მოგზაურობის დროს — იტალიური, ინგლისური, ბულგარული, პოლონური, ესპანური ენები. განსაკუთრებით ფართო მეცნიერული და ლიტერატურული ერუდიცია, ენების შესწავლის შესანიშნავი ნიჭი უადვილებდა მას კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურების გაცნობას.

პოეტს მხურვალედ უყვარდა დიდი რუსი ხალხის კულტურა. მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებით კეთილისმყოფელი გავლენა ტარას შევჩენკოსთან ერთად მოახდინა ნიკოლოზ ჩერნიშევსკიმ. „რა ვაკეთოთ?“-ის გმირის რახმეტოვის სახე მისთვის სიმამაცისა და სულიერი სიმტკიცის ნიმუში იყო.

ლესია უკრაინკა და მისი უფროსი თანამედროვეები ივანე ფრანკო, მიხეილ კოციუბინსკი, პავლო გრაბოვსკი ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეები იყვნენ, მარქსიზმის კეთილისმყოფელ გავლენას განიცდიდნენ და მთელ რიგ არსებითს დებულებებში მეცნიერულ სოციალიზმს უახლოვდებოდნენ.

ლესია უკრაინკა ილამჩრებდა მუშათა მოძრაობის კუდმაჩანჩალური თეორიების წინააღმდეგ, იბრძოდა მუშების დიდი ცენტრალიზებული პარტიის შექმნისათვის, მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთებისათვის.

იგი სწავლობდა „კაპიტალს“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და მარქსისა და ენგელსის სხვა ნაწარმოებებს, დაკავშირებული იყო „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კიევის კავშირთან“. პოეტი სოციალისტურ იდეოლოგიას ავრცელებდა ლეგალური ფორმებით, გამოდიოდა რა როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი პეტერბურგის ჟურნალ „ეიზნში“, რომელშიც მაშინ თანამშრომლობდნენ ვ. ი. ლენინი და მ. გორკი. მის მოთხრობაში „დაგვიანებულია“ (1895) მოხსენიებულია კარლ მარქსის „კაპიტალი“. დრამაში „ცისფერი ვარდი“ (1896) ნაჩვენებია მარქსიზმის შემსწავლელი წრე.

პოეტს მთელი არსებით სძულდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და მთელი თავისი სიცოცხლე, როგორც ლიტერატორმა, მოახმარა ჩვენი სამშობლოს ხალხთა მომავალი ბედნიერებისათვის ბრძოლას. ლექსში „სიტყვავ, რატომ მტკიცე ფოლადი არა ხარ“ (1896) იგი მოუწოდებს მტრების ულმობელი შეჭუსვრისაკენ, მონობის ბორკილების დამსხვრევისაკენ, ტირანების მოსპობისაკენ.

თავის პოემებში „ძველი ზღაპარი“ და „რობერტ ბრიუსი, შოტლანდიის მეფე“ (ორივე დაწერილია 1893 წელს) იგი მშვიდ სევდას თავს ანებებს და წყვევლა-კრულვას უთვლის ომის გამჩაღებლებს, სწამს ხალხის გამარჯვება.

საპროგრამო ლექსში „წარწერა ნანგრევზე“ პოეტი დესპოტ ფარაონებს უპირისპირებს ნიჭიერ ეგვიპტელ ხალხს, რომელმაც შექმნა შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი, ათასეულ წლებს რომ გაუძლეს. ამ ნაწარმოებში პოეტი ქებათა-ქებას ასხამს შემოქმედ ხალხს და მოუწოდებს მეფეების დამხობისაკენ.

გენიალურმა პოეტმა და მეცნიერმა ივანე ფრანკომ 1898 წელს თავის სტატიაში ლესია უკრაინკას შესახებ აღნიშნა მისი სწრაფი შემოქმედებითი ზრდა, რევოლუციური ბრძოლის მოტივის დამკვიდრება როგორც მისი პოეტური და დრამატული მოღვაწეობის საფუძველი. მაშინდელი მოწინავე უკრაინული ლიტერატურის მეთაური ივანე ფრანკო მხარს უჭერს პოეტს დემოკრატი რევოლუციონერის ეკლიან გზაზე. იგი წერდა — ტარას შევჩენკოს შემდეგ უკრაინულ ლიტერატურაში არ გვსმენია ისეთი მამაცური, ნიჭიერი ხმა, როგორიც ოცდაშვიდი წლის პოეტი ქალის ხმა იყოო.

კრებულებში „ფიქრები და ოცნება“ (1899) და „გამოძახილი“ (1902) მოთავსებულია ლესია უკრაინკას ლირიკული ლექსები სოციალურ და ინტიმურ თემატიკაზე, რომლებსაც ახასიათებს ნათელი სახეები, გამომსახველობა, ემოციურობა, უნაკლო ფორმა.

მთელ თავის სიცოცხლეში მძიმე ავადმყოფი ლესია უკრაინკა იძულებული იყო ხშირად ეცხოვრა სანატორიუმებში, საზღვარგარეთ წასულიყო ხოლმე. როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, კალამს იღებდა ხელში და წერდა ლექსებს, დრამებს, აკეთებდა იტალიური, პოლონური, უკრაინული და სხვა ლიტერატურების მიმოხილვებს.

როგორც ნოვატორმა მხატვარმა და მოაზროვნემ, ლესია უკრაინკამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დრამატურგიაში.

პიესაში „ტევრი“ იგი ულმობლად ამხილებს ამერიკის ბურჟუაზიას, ხალხისა და მხატვრული შემოქმედების ამ დაუძინებელ მტერს. სახე ტირანების წინააღმდეგ მებრძოლისა, რომელიც პრომეთეს კვალს მიჰყვება, გამოყვანილია ცნობილ დრამაში „კატაკომბები“. მისი შემოქმედების შედევრია „ქვის მბრძანებელი“, რომელშიც იგი გმობს დონჟუანის ინდივიდუალისტურ ანარქიზმს, და თავისუფლებისმოყვარული დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“. ორი უკანასკნელი დრამა არაერთხელ თარგმნილა სსრ კავშირის სოციალისტური ერების მთელ რიგ ენებზე.

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხებს უყვართ დიდი უკრაინელი პოეტი ქალის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, დიდად აფასებენ მას. მისი წიგნები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გამოცემულია რამდენიმე მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით.

ი. ნაზარენკო.

ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში. სურათზე: ექსკურსანტები ლესია უკრაინკას ძეგლთან.
ფოტო ი. ტკაჩენკოსი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში

ერროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინი, 29 ივლისი. (საკადესი). დღეს სახალხო პალატის სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა პალატას მოახსენა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ა. წ. 11 და 25 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც მიმართულია მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ხელოსნებისა და მოსახლეობის დანარჩენი ფენების ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისაკენ.

ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, თქვა ო. გროტეოლმა, მოჰყვა ის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განუწყვეტლივ მტკიცდებოდა, ცხოვრების დონე მაღლდებოდა. უცხოეთის კრედიტების მიუღებლად შეძელით მრავალგზის გაგვედიდებინა ხელფასი და 12-ჯერ შეგვემცირებინა ფასები სახელმწიფო საცალო ვაჭრობაში. მუშებისა და გლეხების ასეულ ათასობით ბავშვს გაეხსნა გზა კვალიფიკაციის მისაღებად, ცოდნის შესაძენად და კეთილდღეობის მოსაპოვებლად. სოციალურ დარგში შეიქმნა კანონმდებლობა, რომელიც უაღრესად პროგრესულ საფუძველზე აწესრიგებს მუშების, ქალებისა და დედების, ახალგაზრდობის უფლებებს.

თუ მიმდინარე წლის იანვარში მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა თავისი პოლიტიკის კურსი, ეს მან იმისთვის გააკეთა, რომ რაც შეიძლება მალე გადაეტანა ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში წარმოშობილი დაბრკოლებანი და განეხორციელებინა ეროვნული საკითხის უფრო საფუძვლიანი გადაჭრა.

შემდეგ ო. გროტეოლმა დაწვრილებით განმარტა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მთავრობამ მიიღო იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა ახალი კურსი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში, და აღნიშნა ამოცანები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მშრომელთა წინაშე დგას ახალი კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ოტო გროტეოლმა, კერძოდ, განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა განაგრძობს ფასების თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკას. სახელმწიფო კომერციულ ვაჭრობაში ფასების შემცირება განხორციელდება ისეთი მოცულობით, რომელიც მალე საშუალებას მოგვცემს დავაწესოთ ჩვენს ქვეყანაში ერთიანი ფასების სისტემა. განხორციელდება საბარათო სისტემის სრული გაუქმების ხაზი. ამჟამად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ადგენს 1954 წლის ფართო საბინაო მშენებლობის პროგრამას; ამით უზრუნველყოფილ იქნება შემდგომი გაუმჯობესება ამ დარგშიც. ოტო გროტეოლმა სთხოვა სახალხო პალატას განიხილოს მთელი რიგი ცვლილებანი რესპუბლიკის 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში და მთელი რიგი დირექტივები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის გადასასინჯავად.

მძიმე მრეწველობის წარმოების მოცულობა, რაც დაწესებულია 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში, თქვა მან, 1,4 მილიარდი მარკით უნდა შემცირდეს ღირებულებითი გამოხატულებით, ხოლო სახალხო და კერძო მრეწველობის ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოება უნდა გადიდდეს 950 მილიონა მარკით. მძიმე მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა უნდა შემცირდეს 1,7 მილიარდი მარკით, მაშინ როცა საბინაო და საგზაო მშენებლობისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და მშრომელთა დასვენების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია 670 მილიონი მარკა.

1954 და 1955 წლებში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა განზრახულია შემცირდეს სულ ცოტა 4 მილიარდი მარკით იმ კაპიტალდაბანდებებთან შედარებით, რაც დაწესებული იყო 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში.

კაპიტალდაბანდებათა ეს შემცირება ვრცელდება უმთავრესად მრეწველობის მეტალურგიულ და სამთომომპოვებელ დარგებსა და მძიმე მანქანათმშენებლობაზე. ამავე დროს განხორციელდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოების, ენერგეტიკული მეურნეობისა და ქვანახშირის მრეწველობის გაფართოება, აგრეთვე მტს-ებისა და სახალხო მამულების შემდგომი განვითარება სოფლის მეურნეობაში. უზრუნველყოფილ იქნება ხელოსნური წარმოებისა და კერძო საწარმოთა განვითარება მრეწველობასა და ვაჭრობაში. 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ უნდა იქნას საქონლის ფასების შემცირების ფონდი.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ 1953 წლის მეორე ნახევარში მოსახლეობას ახლანდელ ფასებში მიეცემა 5 მილიარდი მარკით მეტი მასობრივი მოხმარების საქონელი და კვების პროდუქტები, ვიდრე ფაქტიურად იყო 1953 წლას პირველ ნახევარში, ხოლო 1954 წელს — კიდევ 4,5 მილიარდი მარკით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია 1953 წლის ახალი გეგმით. ახალი კურსის განხორციელება კეთილსასურველ გავლენას მოახდენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაზე.

პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის განცხადება

როგორც შემდეგ ოტო გროტეოლმა აღნიშნა, ახალი კურსის განხორციელების პირობაა აგრეთვე დემოკრატიული კანონიერების მტკიცედ დაცვა და სახელმწიფო აპარატსა და მასებს შორის კავშირის განმტკიცება.

ოტო გროტეოლმა პასუხი გასცა მოსახლეობისაგან შემოსულ მთელ რიგ პრინციპულ კითხვებზე. მან თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგრძელდება სოციალიზმის მშენებლობა, როგორც ეს შეესაბამება ხალხის ინტერესებს, მაგრამ არ იქნება აღებული კურსი სოციალიზმის მშენებლობის დაჩქარებაზე ყოველგვარ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა საშუალებით; გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგრძელდება მშენებლობის გაფართოებისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განმტკიცების კურსი. ლოზუნგი „უკეთ ვიმუშაოთ, მეტი დავამზადოთ, რათა უკეთ ვიცხოვროთ!“ — სწორია ამჟამადაც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგრძელდება ბრძოლა ომის გაჩაღებლების წინააღმდეგ და ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის.

უპასუხა რა კითხვაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ, ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა განამტკიცებს და შემდგომ განავითარებს მეგობრულ ურთიერთობას სხვა ერებთან, და უწინარეს ყოვლისა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და დიდი სოციალისტური საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დაახასიათა საერთაშორისო და გერმანიის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი ინიციატივის შედეგად საერთაშორისო პოლიტიკაში დაისახა გარდატეხა, რომელიც ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს აძლევს ხანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნების იმედს, მაშინ როცა ამერიკელი მონოპოლისტების სამხარი გეგმები იფუშება. ამასთან ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკელი მონოპოლისტები და დასავლეთგერმანელი იმპერიალისტები ცდილობენ სხვადასხვა პროვოკაციის გზით ჩაფუშონ მშვიდობიანი შეთანხმება ხალხებს შორის და, კერძოდ, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. პრემიერ-მინისტრმა ამასთან დაკავშირებით ამხილა ომის ამერიკელი და დასავლეთგერმანელი გამჩაღებლების ფაშისტური პროვოკაცია, რომელიც 17 ივნისს მოახდინეს ბერლინში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ადგილებში იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ახალი კურსის განხორციელებისათვის და გერმანიის საკითხის მალე მშვიდობიანი გადაჭრისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ბერლინის დემოკრატიული სექტორის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა 17 ივნისის ფაშისტურ პროვოკაციებში, არამედ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია მათ და ამით ცხადყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიმტკიცე და ურღვევობა.

ოტო გროტეოლმა მოაგონა დამსწრეთ, რომ ამა წლის 16 ივლისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ მზად არის ყველაფერი გააკეთოს, რაც კი საჭიროა სრულიად გერმანიის შეთანხმების მისაღწევად გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გაერთიანების მიზნით. მან აღნიშნა, რომ ადენაუერის მთავრობა ისწრაფვის ჩაშალოს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა და ხელი შეუშალოს დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობის შენელებას. ამასთან გროტეოლმა ამხილა ადენაუერის ცდები — ჩამოაშოროს გერმანელი ხალხის ყურადღება ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებს და „გერმანიის ერთიანობის მომხრედ“ მოგვაჩვენოს თავი.

ამხილა რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროპაგანდისტული ფანდი — მისი წინადადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისათვის „სასურსათო დახმარების“ გაწევის შესახებ, ოტო გროტეოლმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ დახმარებას იღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნებისაგან.

გროტეოლმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ბონის ხელისუფალნი ხელს უშლიან დასავლეთ გერმანიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თავისუფალ მიმოსვლას. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ბუნდესტაგის ახალ არჩევნებში 6 სექტემბერს დაამარცხოს ადენაუერის მთავრობა და ამით აღმოფხვრას გერმანელებს შორის არსებული ყველა დაბრკოლება და ის საფრთხე, რომელიც გერმანელთა თვითეულ ოჯახს ემუქრება ადენაუერის სამხედრო პოლიტიკის შედეგად.

ოტო გროტეოლი დაწვრილებით შეეხო დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ვაშინგტონის თათბირის შედეგებს, რომელიც ამა წლის ივლისში გაიმართა. ამასთან მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონის თათბირის მონაწილეთ სრულიადაც არ აწუხებდათ ის, რომ საჭიროა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა და ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ამერიკელი იმპერიალისტების მისწრაფებით — შეინარჩუნონ დასავლეთ გერმანიაში ადენაუერის ანტიხალხური რეჟიმი და ამით ამერიკელი და დასავლეთგერმანელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმების სამსახურში ჩააყენონ დასავლეთი გერმანია.

ამავე დროს ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელი ხალხი დასავლეთის სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, რომ მათ გარკვეული განცხადების გზით, ბოლოს და ბოლოს, შეუწყონ ხელი გერმანიის საკითხის გადაწყვეტას — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანიიდან მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანას, გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარების და ვაჭრობის განვითარების ყველა შეზღუდვის აღმოფხვრას.

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა გროტეოლმა თქვა:

გერმანელ ხალხს სურს მოწვეულ იქნას ოთხმხრივი თათბირი, რომელზეც ყველა ეს საკითხი განხილულ იქნება და სამართლიანად გადაიჭრება.

ოთხი სახელმწიფოს ამ თათბირზე უნდა მოუსმინონ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს. სრულიად გერმანიის კომისიას უკვე მაშინ უნდა შეეძლოს წარადგინოს საარჩევნო კანონი სრულიად გერმანიის თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოსაწყობად. ამავე დროს უნდა გადაწყდეს სრულიად გერმანიის დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე მთავრობის შექმნის საკითხი, რის საჭიროებაც ნათელია თვითეული პატიოსანი ადამიანისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც მუდამ თანმიმდევრულად და მტკიცედ იბრძოდა მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებისათვის, აკვლავაც მოახმარს თავის ძალღონეს გერმანიის მალე გაერთიანების და გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადების საქმეს, რათა შემდეგ გაყვანილ იქნან მთელი საოკუპაციო ჯარები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ახალი პოლიტიკური კურსი, რომელიც ამა წლის 11 ივნისს გამოცხადდა, ამ ხაზის განგრძობაა.

ეს ახალი პოლიტიკური კურსი არა მარტო ხელს უწყობს არსებული პოლიტიკური და ეკონომიური პირობების მეოხებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებას, არამედ მიზნადაც ისახავს გააადვილოს გერმანიის გაერთიანება და უკვე ახლა განავითაროს და განამტკიცოს საერთო პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის.

ახალი პოლიტიკური კურსის მიზანია შეიქმნას „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მატერიალური და კულტურული ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც შესაბამისი იქნება აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის უმეტესობის ინტერესებისა და რომლებსაც დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა მოიწონებს გერმანიის გაერთიანების დროს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ იგი ყოველთვის მზად არის მოლაპარაკება გამართოს დასავლეთ გერმანიის სრულუფლებიან წარმომადგენლებთან სრულიად გერმანიის არჩევნების გზით გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების მომზადების საკითხზე და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მალე დადების საკითხზე. თავისთავად გასაგებია, რომ ამ მოლაპარაკებაში განხილულ უნდა იქნას როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე ფედერალური რესპუბლიკის ყველა წინადადება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს უმოკლეს ვადაში, ჯერ კიდევ ამა წლის აგვისტოში, მოწვეულ იქნას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა სრულიად გერმანიის თათბირი ხსენებული საკითხების განსახილველად. მთელი გერმანელი ხალხი მოელის გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

არის სამი საკითხი, რომლებიც ამჟამად საჭიროდ ხდის გერმანელთა შორის სწრაფი და ძირეული შეთანხმების მიღწევას:

1. ვაჭრობა გერმანელებს შორის,
2. გერმანელთა პირადი ურთიერთობა,
3. საარჩევნო კანონის შემუშავება.

ეს საკითხები შეიძლება დაუყოვნებლივ წარმატებით განხილულ იქნას და გადაიჭრას სრულიად გერმანიის თათბირზე.

ამიტომ ჩვენ, როგორც ყოველთვის, ვაყენებთ ჩვენს მოთხოვნას: „გერმანელებო, ერთ მაგიდასთან!“ და ამ მოთხოვნას წამოვაყენებთ მანამდე, სანამ მის წარმატებითს განხორციელებას არ მივაღწევთ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭება მარშალ კიმ ირ სენისათვის

ფხენიანი, 30 ივლისი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება მარშალ კიმ ირ სენისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა, ნათქვამია ბრძანებულებაში, დაადგინა მიენიჭოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება და გადაეცეს სახელმწიფო დროშის პირველი ხარისხის ორდენი და მედალი ოქროს ვარსკვლავი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს, კორეის სახალხო არმიის უმაღლეს სარდალს მარშალ კიმ ირ სენს — ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ სამართლიან განმათავისუფლებელ სამამულო ომში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მთელი კორეელი ხალხის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, რომელმაც კორეის გმირი სახალხო არმიისადმი თავისი შესანიშნავი ხელმძღვანელობით უზრუნველყო კორეელი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭება გენერალ პინ დე-ხუეისათვის

ფხენიანი, 30 ივლისი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდლის გენერალ პინ დე-ხუეისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ კორეელი ხალხის სამართლიან განმათავისუფლებელ სამამულო ომში, ნათქვამია ბრძანებულებაში, დიდმა ჩინელმა ხალხმა აღმართა ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობისა და კორეისათვის დახმარების მოძრაობის წმიდა დროშა და გაგზავნა კორეის ფრონტზე ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები, რომლებიც თავიანთი სისხლით უწევდნენ დახმარებას ჩვენს ხალხს და ამით დაეხმარნენ მას მოეგერიებინა მტრის შემოსევა და მოეპოვებინა გამარჯვება. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმი ადგენს მიენიჭოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება და გადაეცეს სახელმწიფო დროშის პირველი ხარისხის ორდენი და მედალი ოქროს ვარსკვლავი ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალს გენერალ პინ დე-ხუეის თვალსაჩინო გმირობისათვის, რაც მან გამოიჩინა განმათავისუფლებელ სამამულო ომში ჩვენი ხალხის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

ბრძანებულება ამნისტიის შესახებ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 30 ივლისი. (საკდესი). გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება ამნისტიის შესახებ ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ სამამულო ომში გამარჯვების გამო. ბრძანებულებით მთლიანად მოეხსნათ სასჯელი იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ სამ წელზე ნაკლები პატიმრობა, აგრეთვე ყველა პირს, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სხვა სასჯელი, რომელიც გამორიცხავს პატიმრობას.

მთლიანად მოეხსნათ აგრეთვე სასჯელი ვადის მიუხედავად ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ათ წლამდე ბავშვები, ორსულ ქალებს, 18 წლამდე ქალიშვილებს და განუკურნებელი სნეულებით დაავადებულ პირებს. იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ სამ წელზე მეტი პატიმრობა, პატიმრობის დარჩენილი ვადა სანახევროდ უმცირდებათ. შეწყდება ყველა იმ საქმის წარმოება, რომლებსაც მოსდევს აღნიშნულ ბრძანებულებაში მოხსენიებული სასჯელი. ამნისტირებულ პირებს მოეხსნებათ ნასამართლობა და აღდგენილი იქნებიან საარჩევნო უფლებებში.

ამნისტია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც მისჯილი აქვთ სამ წელზე მეტი პატიმრობა ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის, ქურდობისათვის, განზრახ მკვლელობისა და ყალბი ფულის ნიშნების დამზადებისათვის.

გავერთიანდეთ! გავერთიანდეთ! ერთხელ კიდევ გავერთიანდეთ, რომ მოლაპარაკეგამ გაიმარჯვოს ძალადოგისა და ომის პოლიტიკაზე!

ბუქარესტი, 31 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა კონგრესის მიმართვა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი.

— ჰაბუკებო და ქალიშვილებო! — ნათქვამია მიმართვაში. — თქვენ მოგმართავენ 106 ქვეყნის ახალგაზრდობისა და ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მოწვევით ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ბუქარესტში და თავისუფალი დისკუსიის მსვლელობაში ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ჩვენი დროის მთელ ახალგაზრდა თაობას აღელვებენ.

მიუხედავად სხვადასხვა თვალსაზრისის და შეხედულებისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახალგაზრდობის სულ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები ვართ, ჩვენი სურვილები და ინტერესები ერთიანია.

ჩვენ ყველას გვსურს, რომ ყველა ეროვნების, ყველა რასის ქალიშვილებსა და ჰაბუკებს ახალგაზრდობა არ მოუშხამოს შიშმა და ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობამ;

რომ ყველას ჰქონდეს სამუშაო და სპეციალობა, რომელიც უზრუნველყოფს მისთვის საკმაო ხელფასსა და ღირსეულ ცხოვრებას;

რომ ყველას შეეძლოს ისწავლოს და დაისვენოს, განავითაროს თავისი ნიჭი და უნარი, გაამაგროს თავისი ჯანმრთელობა და ძალები;

რომ ყველას ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა შექმნას თავისი ოჯახი და იცხოვროს მშვიდობიანად და ბედნიერად;

რომ ყველას ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ახალგაზრდებო! რა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ოცნება განხორციელდეს?

გავერთიანდეთ! გავერთიანდეთ! და ერთხელ კიდევ გავერთიანდეთ!

ახალგაზრდობის III მსოფლიო კონგრესის მიმართვა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი

ყველა ქვეყნისა და მოსახლეობის ყველა ფენის ახალგაზრდობის ძმური, მშვიდობიანი კავშირი მძლავრი ძალაა ახალგაზრდა თაობის მოთხოვნებისა და მისწრაფებების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ნამდვილი მეგობრობა რომ გვქონდეს, საჭიროა კარგად ვიცნობდეთ ერთმანეთს. მაშ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა განვახორციელოთ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის უაღრესად ფართო კულტურული და სპორტული ურთიერთობა. აღმოვფხვრათ ყველა დაბრკოლება და უთანხმოება, რომლებსაც მშვიდობის მტრები იყენებენ იმისათვის, რომ გაგვთიშონ.

გავერთიანდეთ, რომ დავიცვათ ბედნიერების უფლება, სიხარულის უფლება, გავერთიანდეთ, რომ გზა გადავუღობოთ ბოროტების ძალებს!

ომი, გამალებული შეიარაღება, დამოკიდებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ახალგაზრდობის უფლებათა განხორციელებას, მაშინ როცა კაცობრიობის წინსვლა პროგრესისაკენ სულ უფრო შესაძლებელს ხდის ამ უფლებათა განხორციელებას.

ომი — ეს არის მილიონობით ახალგაზრდა სიცოცხლის დაღუპვა, ეს არის გაპარტახებული საცხოვრებლები, ეს არის განადგურებული იმედები.

გამალებული შეიარაღება — ეს არის სახაზო გემები სკოლების ნაცვლად, მფრინავი ციხეები სახლების ნაცვლად, ეს არის სამხედრო ბაზების ბეტონი აყვავებული მინდვრების ნაცვლად.

დამოკიდებული მდგომარეობა — ეს არის სამშობლოს გაძარცვა, ეს არის ახალგაზრდა ადამიანების გადაქცევა უცხოელთა მონებად საკუთარ ქვეყანაში.

ქალიშვილებო და ჰაბუკებო!

მოგიწოდებთ თქვენთვის ჩვეული ენერგიით მიიღოთ მონაწილეობა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ დაწყებულ საერთაშორისო კამპანიაში მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის სადავო საერთაშორისო საკითხებზე, იმისათვის, რომ შეწყდეს ყველა წარმოებული ომი და აგრესიული მოქმედება ხალხთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ასევე ენერგიულად ვამხილოთ ისინი, ვინც ხელს უშლის მოლაპარაკებას, ვინც აფერხებს ურთიერთგაგების მიღწევას და ამჯობინებს არა გონების ხმას, არამედ ზარბაზნების ხმას.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვითხოვოთ, რომ ყოველ ხალხს, დიდსა თუ პატარას, მსოფლიოს ყოველ ნაწილში, ყოველი რასის ხალხს უფლება ჰქონდეს თავისუფლად აირჩიოს თავისი ცხოვრების წესი და თავის მხრივ პატივი სცეს ცხოვრების იმ წესს, რომელიც თავისუფლად აირჩიეს სხვა ხალხებმა. მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ მოლაპარაკების სულისკვეთებამ, რომელმაც გამოაცოცხლა საერთაშორისო ატმოსფერო, რომელმაც იმედი აღგვიძრა გულში, გაიმარჯვოს წყვდიადზე და ძალადობისა და ომის მტანჯველ სულისკვეთებაზე.

მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობამ უდიდესი სიხარულით შეიტყო, რომ კორეაში ხელი მოაწერეს დაზავებას, რაც ცხადყოფს ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით მოწესრიგების შესაძლებლობას.

გავერთიანდეთ, რათა ჩვენი ახალგაზრდა ძალები მოვახმაროთ მშვიდობის კეთილშობილურ საქმეს, მონაწილეობა მივიღოთ ხალხთა მოძრაობაში მოლაპარაკებისათვის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობისათვის!

ამ ბრძოლისაკენ მოგიწოდებთ თქვენ, დებო და ძმებო, მეგობრებო და ამხანაგებო!

ერთიანობის გზით მშვიდობისაკენ!

მშვიდობის გზით ბედნიერებისაკენ!

წინ, მსოფლიოს ახალგაზრდობავ!

მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ნათელი მომავლისათვის!

ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესზე

ბუქარესტი, 30 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სხდომის შემდეგ გაიმართა კონგრესის საღამოს საბოლოო სხდომა, რომელზეც წარდგენილ და მოწონებულ იქნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ არჩეულია ბრუნო ბერნინი (იტალია), გენერალურ მდივნად — ჟაკ დენი (საფრანგეთი).

ერთსულოვნად მოწონებულ იქნა რეზოლუცია ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესის შემდეგ განვლილ პერიოდში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ და მშვიდობისა და თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ.

შემდეგ მიღებულ იქნა ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესის მიმართვა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი.

ჟაკ დენის საბოლოო სიტყვის შემდეგ ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესმა მუშაობა დაამთავრა. დარბაზში გაისმის „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი“. დაუსრულებელი ოვაციით ხვდებიან შეძახილებს მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ახალგაზრდა თაობის მოქმედების ერთიანობისათვის მის კეთილშობილურ ბრძოლაში თავისი უფლებებისა და ბედნიერი მომავლის მოსაპოვებლად.

კორეაში დაზავების გამო

პეკინი, 31 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

30 ივლისს გაიმართა დაზავების სამხედრო კომისიის მესამე სხდომა. ამ სხდომაზე კორეა-ჩინეთის ჯგუფის მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ აცნობა გაერთიანებული ერების სარდლობის მხარეს, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის პერსონალის პირველი ჯგუფი ნეიტრალურ სამეთვალყურეო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა კორეაში და პანმინჯონს გაემგზავრა. მოელიან, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები უახლოეს 2-3 დღეში შეხვდებიან შვეიცარიისა და შვეიცარიის წარმომადგენლებს, რომელნიც იმუშავებენ ნეიტრალურ სამეთვალყურეო კომისიაში პანმინჯონში.

გენერალმა ლი სან ჩომ აგრეთვე აცნობა გაერთიანებული ერების სარდლობის მხარეს, რომ კორეა-ჩინეთის მხარემ პოლკოვნიკი კიმ მუ სიკი და პოლკოვნიკი პაკ ლიონ პალი დანიშნა ადგილგადანაცვლებულ სამოქალაქო პირთა დაბრუნების ხელშემწყობი კომიტეტის წევრებად. გაერთიანებული ერების სარდლობის მხარემ განაცხადა, რომ მზად არის დანიშნოს თავისი წევრები ამ კომიტეტში. დაზავების შესახებ შეთანხმების მიხედვით ადგილგადანაცვლებულ სამოქალაქო პირთა დაბრუნების ხელშემწყობ კომიტეტს ეწოდება: „ჩრდილოეთ კორეა-ჩინეთის სამხედრო კომისრის“ საერთო მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით — დაკისრება პასუხისმგებლობა იმ სამოქალაქო პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაბრუნებისათვის ხელის შეწყობაში, რომელნიც ადგილგადანაცვლებული აღმოჩნდნენ ომის დროს.

კომისიის დღევანდელ სხდომაზე გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ გაერთიანებული ერების სარდლობის მხარის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გაერთიანებული ერების სარდლობის სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია დაზავების შესახებ შეთანხმება, რაც იმით გამოიხატა, რომ თვითმფრინავმა გადაუფრინა კორეა-ჩინეთის მხარეს უნსანისა და განმუბონის რაიონებში. ამავე სხდომაზე ორივე მხარის ჯგუფების მეთაურებმა მოიწონეს შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა ორივე მხარის შტაბის ოფიცერთა შორის კონკრეტულ საკითხებზე იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულებენ ერთობლივი სამეთვალყურეო ჯგუფები თავიანთ ამოცანებს. ათივე ერთობლივი სამეთვალყურეო ჯგუფი 30 ივლისს შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მოლაპარაკეგა ინდოეთისა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრებს შორის

დელი, 31 ივლისი. (საკდესი). ამას წინათ კარაჩში გაიმართა სამი დღის მოლაპარაკება პაკისტანის დედაქალაქში ჩასულ ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრ მოჰამედ ალის შორის. ორივე ქვეყნის პრესა და საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა პრემიერ-მინისტრების მოლაპარაკებას, როგორც ინდოეთსა და პაკისტანს შორის სადავო საკითხების გადაჭრის გზაზე გადადგმულ ნაბიჯს. როგორც ნერუმ განაცხადა, მოლაპარაკება წინასწარი ხასიათისა იყო.

პრემიერ-მინისტრებმა განიხილეს ქაშმირის საკითხი, ლტოლვილთა საკუთრების, მდინარე ინდის აუზის წყლების ერთობლივი გამოყენების, ურთიერთისადმი ტერიტორიული პრეტენზიების მოწესრიგების საკითხები, პასპორტებისა და ვიზების გაცემის წესის საკითხი. როგორც ცნობილია, ყველა ეს საკითხი წამოიჭრა ინდოეთის გაყოფის შემდეგ და გახდა ინდოეთის კავშირსა და პაკისტანს შორის დავის საგანი 1947 წლიდან.

როგორც პრესა იუწყება, ქაშმირის პრობლემა მოლაპარაკების მთავარი საკითხი იყო და ორივე პრემიერ-მინისტრი პრინციპულად შეთანხმდა მოეწყოს პლებისციტი ქაშმირში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ კარაჩში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება მოლაპარაკების შესახებ. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ფრიად მეგობრულ ატმოსფერაში, რომელიც გამოხატავს სურვილს გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, ორივე ხალხს შორის არაკეთილმოსურნეობისა და ეჭვის მიზეზთა თავიდან ასაცილებლად. ნერუმ გამოთქვა აზრი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცდა — უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გადაეჭრათ ქაშმირის პრობლემა, ჩაიშალა და „რამდენადმე უკეთესი იქნებოდა, ჩვენ რომ უშუალოდ, საკუთარი ძალებით, სხვის დაუხმარებლად გადაგვეჭრა ეს პრობლემა“. ნერუმ თქვა, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში ქაშმირის პრობლემის გადაწყვეტა არ მოახლოებულა. შეეხო რა მოლაპარაკების დროს განხილულ სხვა საკითხებს, ნერუმ განაცხადა, რომ მათ შესახებ მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება.

პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ ალიმ მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა, რომ „ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადწყვეტილი განაგრძონ ცდები საკითხების გადაჭრის მისაწევად“.

მოლაპარაკება გაგრძელდება ამა წლის აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დამდეგს დელში.

ვიეტნამის სახალხო მთავრობამ გაათავისუფლა სამხედრო ტყვეთა ჯგუფი

შანხაი, 31 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ ვიეტნამის სახალხო მთავრობამ 19 მაისს პრეზიდენტ ხო ში მინის დაბადების დღის გამო გაათავისუფლა 55 ევროპელი და ამერიკელი სამხედრო ტყვე ჩრდილოეთ ვიეტნამის მე-3 სამხედრო ზონაში. გამოსათხოვარ დარბაზობაზე, რომელიც ადგილობრივმა სახალხო ხელისუფლებამ გამართეს, სამხედრო ტყვეებმა გადასცეს წერილები პრეზიდენტ ხო ში მინისადმი. ამ წერილებში ტყვეები დიდ მადლობას უძღვნიან პრეზიდენტს.

ახალი საოპერო თეატრი რუმინეთში

ბუქარესტი, 31 ივლისი. (საკდესი). ბუქარესტში გაიხსნა ახალი სახელმწიფო საოპერო თეატრი.

თეატრის საზეიმო გახსნაზე წაკითხულ იქნა რუმინეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ თეატრის შენობის მშენებლები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოებული არიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საგანგებო გადაწყვეტილება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

ქ. თბილისში ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესრიგისა და უსაშიშროების ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს სსრ ქუჩებში და გზებზე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესების“ შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წ. 4 აგვისტოს № 1191 დადგენილებით, ქ. თბილისში ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესრიგისა და უსაშიშროების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი **ადგენს:**

1. ნებადართულ იქნას ხანმოკლე გაჩერება — არაუმეტეს 5 წუთისა, მხოლოდ მგზავრების ჩასხმა-გადმოსხმისათვის, ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის იმ შემთხვევებში, როცა ეს სამუშაო არ შეიძლება ეზოში შესრულდეს, — იმ ადგილებზე, სადაც აკრძალულია ტრანსპორტის გაჩერება:

ლენინის მოედანზე (გაჩერება ნებადართულია მხოლოდ დანიშნულ ადგილებზე), კარლ მარქსის მოედანზე;

პლეხანოვის პროსპექტზე — კ. მარქსის მოედნიდან ჭოროხის ქუჩამდე;

ლესელიძის ქუჩაზე — ლენინის მოედნიდან მეტეხის ხიდამდე, ტოლსტოის ქუჩაზე, ხეთაგუროვის ქუჩაზე — საბჭოს ქუჩიდან ბარათაშვილის მოედნამდე, პრესის, ფხოვის, მარჯანიშვილის, სამხედრო, საბა-სულხანის, მაჩაბლის ქუჩებზე, ჯაფარიძის ქუჩაზე — ლერმონტოვის ქუჩიდან დავითაშვილის ქუჩამდე, ნეკრასოვის ქუჩაზე — კ. მარქსის მოედნიდან კალინინის ქუჩის კუთხემდე, ფიროსმანის ქუჩაზე — ვაგზლის მოედნიდან ფიროსმანის მოედნამდე, ლესია უკრაინკას ქუჩაზე, პუშკინის ქუჩაზე ლენინის მოედნიდან კოლმეურნის მოედნამდე, ლენინის ქუჩაზე — რუსთაველის მოედნიდან მელიქიშვილის მოედნამდე, ჩალაუბნის ქუჩაზე.

2. აიკრძალოს ყველა სახის ტრანსპორტის გაჩერება, გარდა ტროლეიბუსებისა და სამარშრუტო ავტობუსებისა. ლენინის მოედანზე იმ ზონაში, რომელიც ხაზებით არის აღნიშნული ორთაჭალის მიმართულებით მიმავალი ტროლეიბუსების მოძრაობისათვის.

3. აიკრძალოს სატვირთო ავტომობილების მოძრაობა:

რუსთაველის პროსპექტზე — ლენინის მოედნიდან სამხედრო ქუჩამდე, პლეხანოვის პროსპექტზე — კ. მარქსის მოედნიდან პასტერის ქუჩამდე;

ლენინის ქუჩაზე — რუსთაველის მოედნიდან მელიქიშვილის მოედნამდე, შაუმიანის ქუჩაზე — თელავის ქუჩიდან კახეთის შესახვევამდე, მაჩაბლის, შ. ჩიტაძის, ძერჟინსკის ქუჩებზე, მარჯანიშვილის ქუჩაზე — პლეხანოვის პროსპექტიდან კამოს ქუჩამდე. საბჭოს ქუჩაზე — ხუდადოვის ქუჩიდან თოფურიძის ქუჩისა და საბჭოს ქუჩის შეერთებამდე, პეროვსკაიას, კიროვის ქუჩებზე, მახარაძის ქუჩაზე — კიროვის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე, შევჩენკოს ქუჩაზე — ბესიკის ქუჩიდან ლესია უკრაინკას ქუჩამდე.

4. აიკრძალოს ურელსო ტრანსპორტის გამჭოლი მოძრაობა:

კოლმეურნის მოედანზე — ბარათაშვილის ქუჩიდან პრესის ქუჩამდე, კალინინის ქუჩაზე — ნეკრასოვის ქუჩიდან კონსტიტუციის ქუჩამდე, ძნელაძის ქუჩაზე — კოლმეურნის მოედნიდან ლუნაჩარსკის ქუჩამდე, ტელმანის ქუჩაზე — კ. ცეტკინის ქუჩიდან ორჯონიკიძის ქუჩამდე, ფურცელაძის ქუჩაზე — ძნელაძის ქუჩიდან პრესის ქუჩამდე, ფხოვის, ყელიაბოვის ქუჩებზე.

5. ნებადართულ იქნას ურელსო ტრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ ერთი მიმართულებით: პლეხანოვის პროსპექტზე — კ. მარქსის მოედნიდან ჭოროხის ქუჩამდე. პრესის ქუჩაზე — ბარათაშვილის ქუჩიდან ვოლოდარსკის ქუჩამდე, ა. წერეთლის ქ. — ლერმონტოვის ქუჩიდან ლენინის მოედნამდე, ი. ჭავჭავაძის ქ. ლენინის მოედნიდან ლერმონტოვის ქუჩამდე, ენგელსის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე, ივანიძის ქ. — ლესელიძის ქუჩიდან ერეკლე II-ის მოედნისაკენ, ჩალაუბნის ქ. — ერეკლე II-ის მოედნიდან ლესელიძის ქუჩისაკენ, შავთელის ქ. — ერეკლე II-ის მოედნიდან ბარათაშვილის ქუჩისაკენ, ჩაბრუხაძის ქ. — ბარათაშვილის ქუჩიდან ერეკლე II-ის მოედნისაკენ, სიონის ქ. — ლესელიძის ქუჩიდან ერეკლე II-ის ქუჩისაკენ, ჯაფარიძის ქ. — ლერმონტოვის ქუჩიდან ენგელსის ქუჩისაკენ, დავითაშვილის ქ. — ჯაფარიძის ქუჩიდან მცირე შესახვევამდე, მაჩაბლის ქ. — ლერმონტოვის ქუჩიდან ენგელსის ქუჩისაკენ, ათარბეგოვის ქ. — ჰიჭინაძის ქუჩიდან შ. ჩიტაძის ქუჩისაკენ, ჩოდრიშვილის შესახვ. — პლეხანოვის პროსპექტიდან კამოს ქუჩისაკენ, კ. მარქსის ქუჩის განშტოებაზე — სტალინის სახელობის სანაპიროდან კ. მარქსის ქუჩისაკენ, პეროვსკაიას ქ. — საჯაიას ქუჩიდან ნ. ნიკოლაძის ქუჩისაკენ, ორჯონიკიძის ქ. — ავქალის მოედნიდან აბასთუმნის ქუჩამდე, ვახუშტის ქუჩიდან ევდოშვილის ქუჩისაკენ, კ. ცეტკინის ქ. — კონსტიტუციის ქუჩიდან ტოლსტოის ქუჩამდე, ეჩმიაძინის ქ. — მესხიშვილის ქუჩიდან ბარათაშვილის აღმართისაკენ, კიბალჩიჩის აღმართზე — ხეთაგუროვის ქუჩიდან საბოქალაქო ქუჩისაკენ, ალიხანიანის ქ. — შაუმიანის ქუჩიდან ფიოლეტოვის ქუჩისაკენ, ვახტანგ VI-ის ქ. — მესხიშვილის ქუჩიდან ლომოურის ქუჩისაკენ, ლაგოდეხის ქ. — ალიხანიანის ქუჩიდან ფიოლეტოვის ქუჩისაკენ, საჯაიას ქ. — ელბაქიძის დაღმართიდან ნ. ნიკოლაძის ქუჩისაკენ, ნ. ნიკოლაძის ქ. — საჯაიას ქუჩიდან მელიქიშვილის მოედნისაკენ, ლენინის შესახვ. — პეროვსკაიას ქუჩიდან ლენინის ქუჩისაკენ, ვაშლოვანის ქ. — ლენინის ქუჩიდან პეროვსკაიას ქუჩისაკენ, პეროვსკაიას შესახვ. — პეროვსკაიას ქუჩიდან ლენინის ქუჩისაკენ, ფიროსმანის ქ. — ვაგზლის მოედნიდან ფიროსმანის მოედნისაკენ, გოგოლის ქ. — კლდიაშვილის ქუჩიდან ჩელუსკინელთა ქუჩისაკენ, კლდიაშვილის ქ. — საბჭოს ქუჩიდან კ. ცეტკინის ქუჩამდე, 1-ლი მაისის ქ. — ლესელიძის ქუჩიდან ახოსპირელის ქუჩამდე, კაშენის ქ. — პარის მოედნიდან ივანიძის ქუჩამდე, მცირე შესახვ. — დავითაშვილის ქუჩიდან ენგელსის ქუჩისაკენ, ორბელიანის ქ. — ვოლოდარსკის ქუჩიდან მტკვრის ქუჩამდე, ორბელიანის შესახვ. — პრესის ქუჩიდან ორბელიანის ქუჩამდე, ზუგდიდის ქ. — ევდოშვილის ქუჩიდან ვახუშტის ქუჩამდე, ვახუშტის ქ. — ზუგდიდის ქუჩიდან ორჯონიკიძის ქუჩამდე, ბორჯომის ქ. — კ. ცეტკინის ქუჩიდან პლეხანოვის პროსპექტამდე, ლესია უკრაინკას ქ. — შევჩენკოს ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე, შევჩენკოს ქ. — ჰიჭინაძის ქუჩიდან ლესია უკრაინკას ქუჩამდე, ლაბორატორიის ქ. — არსენას ქუჩიდან ათარბეგოვის ქუჩამდე, ჰიჭინაძის ქ. — რუსთაველის პროსპექტიდან შევჩენკოს ქუჩამდე, შ. ჩიტაძის ქ. — ათარბეგოვის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტამდე, ბაქრაძის ქ. — ყაზბეგის ქუჩიდან ბელინსკის ქუჩამდე, ნიკოლაძის ქ. — მელიქიშვილის ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე, ნიკოლაძის შესახვ. — ნიკოლაძის ქუჩიდან უნივერსიტეტის ქუჩამდე. აკურის ქ. — ტყვარჩელის ქუჩიდან საქართველოს სამხედრო გზამდე, ჯავახიშვილის ქ. — გურამიშვილის ქუჩიდან მოსკოვის ქუჩამდე, ქუჩიშვილის შესახვ. — მელიქიშვილის ქუჩიდან ქუჩიშვილის ქუჩამდე, ჭოროხის ქ. — პლეხანოვის პროსპექტიდან კამოს ქუჩამდე.

6. აიკრძალოს სასწავლო მანქანებით სიარული:

რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე, ლენინის ქუჩაზე, მარჯანიშვილის ქუჩაზე — კამოს ქუჩიდან საბჭოს ქუჩამდე.

7. აეკრძალოს სიგნალების მიცემა ყველა სახის ტრანსპორტს: ლენინის, კ. მარქსის, რუსთაველის, მარჯანიშვილის მოედნებზე, რუსთაველის პროსპექტზე ლენინის მოედნიდან რუსთაველის მოედნამდე, პლეხანოვის პროსპექტზე — კ. მარქსის მოედნიდან ტელმანის ქუჩამდე, ლენინის ქუჩაზე — რუსთაველის მოედნიდან მელიქიშვილის მოედნამდე, მელიქიშვილის ქუჩაზე, ჩელუსკინელების ქუჩაზე — პლეხანოვის პროსპექტიდან სადგურ თბილისამდე, მარჯანიშვილის ქუჩაზე — სტალინის სახელობის ხიდიდან პლეხანოვის პროსპექტამდე.

შენიშვნა: საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტის მძღოლებს ნება ეძლევათ განსაკუთრებულ შემთხვევაში მისცენ ხმოვანი სიგნალი იმ მიზნით, რომ არ დაეჯახონ ტრანსპორტს ან ადამიანებს.

8. აიკრძალოს საჰაპანო ტრანსპორტის მოძრაობა: რუსთაველის პროსპექტზე, პლეხანოვის პროსპექტზე — კ. მარქსის მოედნიდან პასტერის ქუჩამდე, ლენინის ქუჩაზე — რუსთაველის მოედნიდან მელიქიშვილის მოედნამდე, მაჩაბლის, შ. ჩიტაძის, ძერჟინსკის ქუჩებზე, ლესელიძის ქუჩაზე — ლენინის მოედნიდან მეტეხის ხიდამდე, პუშკინის ქუჩაზე — ლენინის მოედნიდან მაღლიციის ქუჩამდე, მარჯანიშვილის ქუჩაზე — კამოს ქუჩიდან პლეხანოვის პროსპექტამდე, კიროვის, შაუმიანის ქუჩებზე.

9. ამ გადაწყვეტილების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 აგვისტოს № 1191 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ქუჩებში და გზებზე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესების“ 193-199 მუხლების საფუძველზე.

10. ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი მეთვალყურეობა დაეკისროთ ქ. თბილისის მილიციის ორგანოებს.

11. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან და მოქმედებს გაუქმებამდე.

12. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავალდებულო დადგენილება „ქ. თბილისში ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების შესახებ“, მოთავსებული სავალდებულო დადგენილებათა კრებულში № 2, და „ქ. თბილისში ქუჩებში მოძრაობის წესები“, დამტკიცებული თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მ